Environment and Society, N11, July, 2024, pp.170-206

საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში და მისი ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაცია 2013-2023 წლებში

ნინო გომურაშვიილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, საჯარო მმართველობის მაგისტრი

ელ.ფოსტა: nino.gomurashvili107@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

სტატია იკვლევს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკასა და მის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციას, კერძოდ, 2013-2023 წლებში.კვლევა ეხება ძირითად კითხვებს საქართველოს სასწავლო მიგრაციის პოლიტიკის მახასიათებლებსა და მათ მსგავსებებსა და განსხვავებებს ევროკავშირის პოლიტიკასთან შედარებით. კვლევა იყენებს ევერეტ ლი (1966) Push-Pull თეორიას საგანმანათლებლო მიგრაციის დინამიკის ასახსნელად, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფო პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებზე. გამოყენებული იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდები,შერჩევა გახლდათ მიზნობრივი , არალბათური , ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ექსპერტული სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები საერთაშორისო სტუდენტებთან რომლებიც საქართველოში სასწავლო მიგრანტთა ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენენ, ფოკუს-ჯგუფები მოიცავდა 27 საერთაშორისო სტუდენტს სხვადასხვა ქვეყნიდან.

სტატია არის სიახლე რადგან იგი გვთავაზობს ინფორმაციას საქართველოს საერთაშორისო სასწავლო პოლიტიკის ეფექტურობის შესახებ , ასევე არასდროს არ მომხდარა ამ პოლიტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის შესაბამისობის შეფასება .

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო სასწავლო მიგრაცია, ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაცია , ინკრიმენტალიზმი , პოლიტიკის ევროპეიზაციას

The State Policy of International Educational Migration in Georgia and its Harmonization with EU Standards in 2013-2023'

Nino Gomurashviili, Master of Public Administration, Faculty of Psychology and Educational Sciences of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The thesis refers to research the state policy of international educational migration in Georgia and its harmonization with EU Standards namely, in 2013-2023. The study explores the main questions of the characteristics of the educational migration policy of Georgia and their similarities and differences compared to the European Union policy. Lee's theory is used in the study to explain educational migration dynamics, considering internal and external factors that influence state policies and decisions. In the thesis, we have used the qualitative research method, including semi-structured, in-depth interviews and focus groups, with international students. The respondents were selected purposefully, there were targeted 27 international students from different countries. The interviews were conducted with educational experts. The paper is a novelty as it offers information about the effectiveness of Georgia's international education policy, and there has never been evaluated the harmonization of this policy with EU standards.

Key words: International educational migration, harmonization with EU standards, incrementalism, Europeanization of politics

შესავალი

დღესდღეობით, გლობალიზაციისა და მსოფლიო სივრცის ინტერნაციონალიზაციის მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მიგრაცია ხდება თანამედროვე საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი (Blattman, Fiala & Martinez 2020). დემოგრაფიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში მიგრაცია განმარტებულია, როგორც ადამიანთა გადაადგილება ამა თუ იმ ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზნით, სამუშაოდ ან მეტნაკლებად ხანგრძლივი დროით (წულაძე, 2000).

ამიტომაც, თანამედროვე განათლების სისტემის განვითარების დამახასიათებელ ნიშად მისი ინტერნაციონალიზაცია და სტუდენტური მიგრაციის სწრაფი ზრდა იქცა (Blattman, Fiala & Martinez, 2020). საერთაშორისო სასწავლო მიგრაცია, სემივის (2013) მიხედვით, სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა და ფენომენების ევროპეიზაციამ განსაზღვრა. იგი, მოსახლეობის მიგრაციის აზრიანი,

ინტელექტუალურად გააზრებული ფორმაა. როშჩინის (2010) შრომებიდან ვიგებთ, რას წარმოადგენს საერთაშორისო სასწავლო მიგრაცია, როგორც მიგრაციის ერთ-ერთი სახეობა. როშჩინი ამ ტერმინს განმარტავს, როგორც ინტელექტუალური მიგრაციის პროცესში უშუალოდ ჩართული ადამიანების სივრცით გადაადგილებას. მისი ინტერპრეტაციით, სასწავლო მიგრაცია იწვევს „ახალგაზრდა ტვინის გადინებს პროცესს". თუ ის შეუქცევადი ხდება, ეს აზიანებს როგორც სახელმწიფოს მომავალ განვითარებას, ასევე სახელმწიფო ეკონომიკასაც. სასწავლო მიგრაცია, როგორც მძლავრი ინსტრუმენტი, მიმართულია კულტურული გაცვლის ხელშეწყობისთვის, კულტურათაშორისი ურთიერთგაგების ჩამოყალიბებისა და ერებს შორის ხიდების შექმნისაკენ (Marginson, 2012; Byram, 1997).

საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზის **აქტუალურობა** უკავშირდება ფაქტს, რომ პოლიტიკის შემქმნელებს შეუძლიათ შექმნან უფრო ინკლუზიური, სამართლიანი და მდგრადი სახელმწიფო პოლიტიკა ინდივიდებისთვის. ამით კი მათ შეეძლებათ მიიღონ ხარისხიანი განათლება და ხელი შეუწყონ საზოგადოების წინსვლას გლობალურ დონეზე.

სახელმწიფოები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვისას ეკონომიკურ სარგებელს, რადგან სასწავლო მიგრაცია ხელს უწყობს შემოსავლების გამომუშავებასა და ცოდნის გადაცემას (Bohm, 2019; Docquier & Rapoport, 2012). მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა გამოიწვია საქართველოში მიგრაციის პროცესის ზრდა, რამაც ხელი შეუწყო საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის ტენდენციის გააქტიურებას. 2013 წლიდან საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალილბებაზე. მათი ინიციატივით შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა , 2013). 2023 წლის საქსტატის მონაცემებით, საქართველოში უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა მკვეთრად გაზრდილია. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოელ სტუდენტთა როდენობამ 25.1 ათასი შეადგინა, რაც 43.2 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (საქსტატი, 2023). სწორედ ამიტომ სასწავლო მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად 2018 წელს დაგეგმილი იყო თანამშრომლობა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, რათა მომხადრიყო არსებული პოლიტიკის გადახედვა საქართველოში უცხოელი სტუდენტების შემოსვლასა და ყოფნასთან დაკავშირებით (საქართველოს მიგრაციის სტრატეგია, 2018). ყურადსაღებია, რომ საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მთავარი გამოწვევაა ქართული

აკადემიური სივრცისთვის, რადგან აღნიშნული თემა მხოლოდ რამდენიმე ავტორს აქვს მიმოხილული. ამ თემის შესწავლისას მათი ყურადღება გამახვილდა ძირითად ინსტიტუციურ ჩარჩოზე, რომლის პრაქტიკაში მოქმედებაზე აქცენტები ნაკლებად კეთდება, 2021 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია განათლების ინტერნაციონალიზაციისა და უცხოელი სტუდენტების მობილობის გაზრდისკენ. მას შემდეგ რაც საქართველომ კანდიდატის სტატუსი მიიღო (European Commission, 2023), მას დაეკისრა რიგი ვალდებულებები, რომელთა შორისაცაა საიმიგრაციო პოლიტიკის მოწესრიგება, მათ შორის საერთაშორისო სასწავლო მიგრაციასთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნულ სიაში განსაზღვრულია რომ საქართველოს როგორც სახელმწიფოს ვალდებულება ეკისრება მიგრაციის პოლიტიკის ევროპეიზაციაის პროცესზე (European Commission, 2023).

ლიტერატურის მიმოხილვა

სახელმწიფოები არიან აქტორები, რომლებიც ახორციელებენ მიგრაციის პოლიტიკას, ხოლო მიგრანტები კი არიან ისინი, ვინც მიგრაციას ახორციელებენ. უმაღლესი სასწავლებლები არიან წინა ხაზზე, რადგან სწორედ ისინი უზრუნველყოფენ სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის აღსრულების პროცესს (Brooks, Waters & Citation, 2011). ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ სახელმწიფომ დიდწილად დაკარგა მიგრაციის კონტროლის უნარი (Bhagwati 2003 & castle 2004) სხვები, ვარაუდობენ რომ გლობალიზაცია და ადამიანის უფლებების დაცვა ზღუდავს სახელმწიფოების უნარს დააწესონ უაღრესად შემზღუდავი პოლიტიკა. ის რჩება კრიტიკულად მნიშვნელოვან ნაწილად სახელმწიფოს უსაფრთხოებიდან გამომდინარე. (Strikwerda 1999) მას შემდეგ რაც რავენშტეინმა (1885) ჩამოაყალიბა თავისი მიგრაციის კანონები, 1885 წლიდან მიგრაციის რამდენიმე თეორია არსებობს. ეს თეორიები შეიქმნა მიგრაციის პროცესებში მიზეზობრივი მექანიზმების ასახსნელად და პოტენციური მიგრაციის იდენტიფიცირებისთვის. როდესაც განიხილება სახელმწიფოს როლი სასწავლო მიგრაციის საკითხებში, მიგრაციის მკვლევარები მიდრეკილნი არიან იგი დაიყვანონ ჯერ მიგრაციულ პოლიტიკამდე (Massey 1999 & Strikwerda, 1999) და საბოლოოდ საიმიგრაციო პოლიტიკამდე. სასწავლო მიგრაციის მრავალი კვლევა ფოკუსირებულია საიმიგრაციო პოლიტიკის ანალიზზე და მათ ეფექტურობაზე (Zolberg, 2007). დიდი ხანია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განათლება სტრატეგიული რესურსად იქცა, რომელსაც მთავრობები და კერძო ბიზნესები იყენებენ და მასში ინვესტირებას დებენ. სასწავლო მიგრაცია ბევრი ახალგაზრდისთვის არის გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავს მათი შემდგომი

ცხოვრების ტრაექტორიას (Zamotin, 2016). განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესი კი საკამათოა. ის ეფუძნება პოტენციურად კონფლიქტურ პროცესებს. ერთის მხრივ, ქვეყნები ჩართულნი არიან გლობალურ საგანმანათლებლო პროცესში, მეორეს მხრივ, კი მშობლიურ სახელმწიფოებში იწყება „ტვინების გადინების პროცესი"(de haass და vezzoli 2011).

საერთაშორისო სასწავლო მიგრაცია არის ხალხის გადაადგილება ქვეყნებს შორის, რათა მიიღონ განათლება სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა პერიოდში. იგი მოიცავს სკოლის მოსწავლეების, სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტების მოძრაობას, სტაჟიორებს, პროფესიონალებს, რომლებიც აუმჯობესებენ თავიანთ უნარებს სხვადასხვა სტრუქტურებში და ორგანიზაციებში. სასწავლო მიგრაციის დიდი ნაწილი საგანმანათლებლო ნაკადია. მიგრანტები, რომლებიც ორიენტირებული არიან ისეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, როგორიცაა სკოლები, კოლეჯები და უნივერსიტეტები (ახალგაზრდული მიგრაცია დასავლეთში, 2011) ევროპარლამენტი და ევროპის საბჭო განსაზღვრავს კონცეფციას სასწავლო მობილობის შესახებ (ევროპის პარლამენტი, 2006), როგორც „ყველა სახის მობილობა სწავლის ან პროფესიული განვითარების მიზნით: განათლება ან ტრენინგი; ფორმალური ან არაფორმალური სწავლება, მათ შორის ნებაყოფლობითი სამუშაო და პროექტები; მოკლე ან ხანგრძლივი მობილობის პერიოდები; სკოლა, უმაღლესი განათლება ან სამუშაოსთან დაკავშირებული სწავლება". გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) შეფასებით, 2000-2017 წლებში, საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა მთელ მსოფლიოში გაიზარდა დაახლოებით 2 მილიონიდან 5 მილიონამდე(UNESCO, 2017). ასევე პუბლიკაციების რაოდენობა საერთაშორისო სტუდენტური მობილობის (ISM) შესახებ რამდენჯერმე გაიზარდა 2005 წლიდან დღემდე (Gümüş et al. 2020).

სასწავლო მიგრაცია მრავალმხრივი მოვლენაა, შესაბამისად, მიდგომები ამ ტიპის მიგრაციის შესწავლისას მრავალმხრივია. მაგალითად, დემინა (2018) აღნიშნავს, რომ სასწავლო მიგრაცია განიხილება ეთნიკური ურთიერთქმედებითა და ადაპტაციით მულტიკულტურულ გარემოში. ლედენევა ლ. ძირითადად აანალიზებს პროფესიულ მიგრაციას და სტუდენტების განზრახვებს. უცხოელი სტუდენტების ადაპტაციის პრობლემების თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაოები არის სოციოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის პისმენნაიას მიერ, თუმცა მის ნაშრომში იგი ძირითად ყურადღებას ამახვილებს უცხოელ სტუდენტთა პრობლემებზე და არა სახელმწიფო პოლიტიკის განვითარებასა და მიზანმიმართულობაზე (2018).

საიმონ მარგინსონის ნაშრომი „საერთაშორისო სტუდენტური უსაფრთხოება“ (2007) განიხილავს უსაფრთხოების საკითხებს, რომლებსაც აწყდებიან საზღვარგარეთ სწავლის პროცესში მყოფი საერთაშორისო სტუდენტები. ამ ნაშრომში მარგინსონი იკვლევს უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტს, რომლებიც გავლენას ახდენს საერთაშორისო სტუდენტებზე, მათ შორის ფიზიკურ უსაფრთხოებაზე, სოციალურ ინტეგრაციაზე, იურიდიულ დაცვაზე და სახელმწიფოს როლზე ამ პროცესებში. იგი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ ლეგალურ უფლებებსა და დაცვაზე მასპინძელი ქვეყნის კანონებისა და რეგულაციების მიხედვით. სახელმწიფო პოლიტიკის ისეთ საკითხებს როგორიცაა : დისკუსიებს საიმიგრაციო პოლიტიკა, სავიზო რეგულაციები, დასაქმების უფლებები, ჯანდაცვისა და სხვა აუცილებელი სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ (2007). იგი ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომ სასწავლო მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ქმედითუნარიანობა ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებზეა დამოკიდებული. მთლიანობაში, საიმონ მარგინსონის "საერთაშორისო სტუდენტური უსაფრთხოება", უზრუნველყოფს საერთაშორისო სტუდენტების წინაშე მდგარი უსაფრთხოების გამოწვევების ყოვლისმომცველ ანალიზს და გვთავაზობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ პოლიტიკის შემქმნელებმა, ინსტიტუტებმა და საზოგადოებებმა ერთად იმუშაონ, რათა შექმნან უფრო უსაფრთხო და მისასალმებელი გარემო სტუდენტებისთვის მთელი მსოფლიოდან (Marginson, 2007). თუმცა, სხვა ავტორები ამ საკითხს სხვა კუთხით განიხილავდნენ. ელენ ჰეზელკორნის ნაშრომი "საერთაშორისო სტუდენტური მობილურობა: შაბლონები და ტენდენციები" (2009), იკვლევს საერთაშორისო სტუდენტების მობილობის ნიმუშებსა და ტენდენციებს გლობალურ მასშტაბზე. ამ ნაშრომში ჰეზელკორნი აანალიზებს საერთაშორისო სტუსასწავლო მიგრაციის სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის მობილობის მამოძრავებელ ფაქტორებს, დანიშნულების ქვეყნებს, სასწავლო სფეროებს და გავლენას უმაღლეს სასწავლებლებზე და ეროვნულ პოლიტიკაზე (marginson, 2009) .

ნაშრომში შეისწავლის საერთაშორისო სტუდენტების მობილობის პოლიტიკას ეროვნული მთავრობებისთვის, მათ შორის საერთაშორისო ნიჭის მოზიდვისა და შენარჩუნების სტრატეგიებს, კულტურული გაცვლის ხელშეწყობას და რბილი ძალის დიპლომატიასა და სავიზო რეგულაციების გამოწვევების გადაჭრის საკითხებს. ფაქტობრივად ნაშრომი შეჯამებაა იმ საკითხების, რომლებიც აქტულური იყო იმ პერიოდში მსოფლიოში. გამოყოფს იმ სტრატეგიებს, რომლებსაც სახელმწიფოები იყენებდნენ სასწავლო მიგრაციის პოლიტიკის შემდგომი ჩამოყალიბებისათვის.

რაჯიკა ბჰანდარის ნაშრომები ფოკუსირებულია უმაღლესი განათლების, საერთაშორისო სტუდენტების მობილურობისა და გლობალური ცოდნის ეკონომიკის კვეთაზე. იგი თავის ნაშრომში განიხილავს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის როლს გლობალური ცოდნის ეკონომიკის კონტექსტში. (Angelis, 2012) თუმცა ყურადღების მიღმაა დარჩენილი სახელმწიფო პოლიტიკის როლი ამ პროცესში. ბჰანდარიმ გამოიკვლია, ის თუ როგორ უწყობს ხელს სტუდენტების გადაადგილება საზღვრებს გარეთ ცოდნის, უნარებისა და ინოვაციების გადაცემას და როგორ აისახება ეს ეკონომიკურ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობაზე. ნაშრომმა შეისწავლა საერთაშორისო სტუდენტების მობილურობასთან დაკავშირებული გამოწვევები და შესაძლებლობები გლობალური ცოდნის ეკონომიკის კონტექსტში, როგორიცაა საიმიგრაციო პოლიტიკასთან, სტუდენტურ ვიზებთან, უცხოური კვალიფიკაციის აღიარებასთან და საზღვრისპირა თანამშრომლობასთან კვლევებსა და ინოვაციებში. ავტორი ძირითად ყურადღებას სტუდენტურ საჭიროებებზე ამახვილ (Chavleishvili, 2018)ებს, თუმცა თუ რა უნდა გააკეთონ სახელმწიფოებმა ამ განმოწვევების გადასაჭრელად ყურადღების მიღმა რჩება. (Bhandari, 2006) ბჰანდარიმ მის მეორე ცნობილ ნაშრომში "სტუდენტთა მობილურობა და უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგიები", (2011) მიმოიხილა ქვეყნების მიერ მიღებული ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგიები, რათა მოხდეს მათი უმაღლესი განათლების სისტემების ინტერნაციონალიზაცია საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის გზით. მან დაინახა საჭიროება რომ მიმოეხილა მთავრობების მიერ განხორციელებული სხვადასხვა მიდგომები და ინიციატივები საერთაშორისო სტუდენტების მოსაზიდად, სტუდენტების გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობისა და უმაღლეს განათლებაში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის. (Bhandari, 2011)

ბჰანდარმა ასევე შეისწავლა საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის მობილობის ინტერნაციონალიზაციის ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიების ეფექტურობაზე გავლენის ფაქტორები, როგორიცაა ინსტიტუციური შესაძლებლობები, დაფინანსების მექანიზმები, მარეგულირებელი ჩარჩოები და კულტურული ფაქტორები. გარდა ამისა, ნაშრომმა შესთავაზა გარკვეული იდეები საუკეთესო პრაქტიკისა და პოლიტიკის რეკომენდაციების შესახებ იმ ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ გააძლიერონ თავიანთი ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევა საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის გზით, საქმის შესწავლისა და ეროვნული მიდგომების შედარებითი ანალიზის საფუძველზე (Bhandari, 2011). ეს ნაშრომი არის საფუძველი ჩემ მიერ ამ კვლევის წარმოებისათვის. ნაშრომები იძლევა ღირებულ შეხედულებებს საერთაშორისო სასწავლო

მიგრაციის კომპლექსურ დინამიკაზე და მის როლზე უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციაში გლობალური ცოდნის ეკონომიკის კონტექსტში.

ამ მიმართულებით ძალიან საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს კაზუო კუროდას ნაშრომები, რომლებიც ფოკუსირებულია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციაზე აზიის წყნარი ოკეანის რეგიონში. განსაკუთრებით გლობალიზაციაზე სტრატეგიულ პასუხებსა და საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის ტენდენციებზე. (Kuroda , 2014), ეს ნაშრომი იძლევა ყოვლისმომცველ მიმოხილვას აზიის წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების მიერ მათი უმაღლესი განათლების სისტემების ფარგლებში მიღებული ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევისა და სტრატეგიების შესახებ. (Kuroda, 2014) ნაშრომში გაანალიზდა ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა განზომილება, როგორიცაა საერთაშორისო სასწავლო მიგრაცია, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა კვლევასა და ინოვაციაში, სასწავლო გეგმის ინტერნაციონალიზაცია და ა.შ. ასევე სახელმწიფო მარეგულირებელი ჩარჩოების როლი გლობალიზაციასა და სტუდენტთა მობილურობაზე სტრატეგიული რეაგირების ფორმირებაში აზიის წყნარი ოკეანის რეგიონის სახელმწიფოებში (Kuroda, 2014). საერთაშორისო საიმიგრაციო პოლიტიკის თეორიები და მათი შედარებითი ანალიზი არის თემა, რომელიც ფართოდ გამოიკვლიეს პოლიტიკური მეცნიერების, სოციოლოგიისა და მიგრაციის კვლევების სხვადასხვა მეცნიერებმა, თუმცა საერთაშორისო სასწავლო მიგრაცია არის უფრო მეტად 20-ე საუკუნის ბოლო წლების მთავარი გამოძახილი როცა გლობალიზაცია აქტიურად იკიდებს ფეხს.

სახელმწიფო პოლიტიკა საერთაშორისო სასწავლო მიგრაციასთან დაკავშირებით, აწყდება მთელ რიგ გამოწვევებს შესაბამის უპირატესობებთან ერთად. ამ სირთულეების ეფექტური მოგვარება გადამწყვეტია სასწავლო მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებისთვის, რომელიც აკმაყოფილებს როგორც გამგზავნი, ისე მიმღები ქვეყნების საჭიროებებს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სასწავლო მიგრაციას შეუძლია უზრუნველყოს სტუდენტების ხელმისაწვდომობა მაღალი ხარისხის განათლებასა და სპეციალიზებულ ტრენინგზე, ის ასევე მიმართულია ისეთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე როგორიც არის ხელმისაწვდომობის, სავიზო შეზღუდვებისა და ენის ბარიერების საკითხები(Smith & Johnson, 2020). გარდა ამისა, „ტვინების გადინების პროცესი“ მნიშვნელოვან გამოწვევას უქმნის ქვეყნებს. გამოცდილი და განათლებული პირების დაკარგვამ შეიძლება შეაფერხოს ეკონომიკური განვითარება და გააძლიეროს არსებული უთანასწორობა განათლებისა და შესაძლებლობების ხელმისაწვდომობაში (Brown & Lee, 2021). უსაფრთხოების საკითხები გაძლიერებულია, განსაკუთრებით სტუდენტურ ვიზებთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია საერთაშორისო სტუდენტების პოტენციური ექსპლუატაციის ანუ უკანონო

საქმიანობის შესაზღუდად. სახელმწიფოებმა უნდა დაამყარონ დელიკატური ბალანსი საგანმანათლებლო შესაძლებლობების ხელშეწყობასა და სტუდენტებისა და მასპინძელი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას შორის (Chen & Patel, 2018).

მიუხედავად ამ გამოწვევებისა, სახელმწიფო პოლიტიკა საერთაშორისო საგანმანათლებლო მიგრაციაზე უამრავ უპირატესობას გვთავაზობს. საერთაშორისო სტუდენტების არსებობა ქვეყანაში ამდიდრებს საგანმანათლებლო გარემოს, ხელს უწყობს მრავალფეროვნებას, კულტურათაშორის გაგებასა და გლობალურ პერსპექტივებს (Johnson & Martinez, 2023). უფრო მეტიც, საერთაშორისო სასწავლო მიგრაცია ხელს უწყობს ცოდნის გაცვლას, ინოვაციას და ეკონომიკურ ზრდას. საერთაშორისო სტუდენტებს ხშირად მოაქვთ ახალი იდეები, უნარები და პერსპექტივები, აძლიერებენ კვლევით თანამშრომლობას და განაპირობებენ ინოვაციას სხვადასხვა სფეროში (Nguyen & Khan, 2020). საერთაშორისო სტუდენტების ფულადი გზავნილები ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გაგზავნის ქვეყნების ეკონომიკის მხარდაჭერაში. ბევრი სტუდენტი უგზავნის ფულს ოჯახს, რაც ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას (Smith & Patel, 2021).

გამოწვევების გადაჭრითა და უპირატესობების გამოყენებით, სახელმწიფოებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ეფექტური პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, კულტურულ გაცვლას და გამოიყენებს საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის პოტენციალს ორმხრივი სარგებლისთვის(Garcia, Nguyen, 2019). კანადა გამოწვევების წინაშე დგას საერთაშორისო სტუდენტებისთვის განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. სავიზო შეზღუდვებმა და ენობრივმა ბარიერებმა გამოიწვია პრობლემები პერსპექტიული საერთაშორისო სტუდენტებისთვის (CBIE , 2021). მათ მიიღეს კონკრეტული კანონი რომელიც ეხება ამ გამოწვევებს, იმიგრაციისა და ლტოლვილთა დაცვის აქტი (IRPA) ესაა დოკუმენტი, რომელიც ასახავს კრიტერიუმებსა და პროცედურებს, რათა საერთასორისო სტუდენტებმა მიიღონ სწავლის ნებართვა კანადაში განათლების გასაგრძელებლად. (IRPA, 2022) თუმცა, მიუხედავად ამ კანონებისა, იმიგრაციის პროცესში ნავიგაცია მაინც შეიძლება იყოს რთული და ბიუროკრატიული, რაც ბარიერებს ქმნის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელ საერთაშორისო სტუდენტისთვის. მიუხედავად გამოწვევებისა, კანადა მნიშვნელოვნად სარგებლობს მისი საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის პოლიტიკით. საერთაშორისო კანადის მთავრობა ასევე აღიარებს საერთაშორისო განათლების მნიშვნელობას ისეთი ინიციატივებით, როგორიცაა განათლების საერთაშორისო სტრატეგია. ეს სტრატეგია მიზნად ისახავს კანადის პოპულარიზაციას,

როგორც დანიშნულების ადგილს საერთაშორისო სტუდენტებისთვის და რათა გააძლიეროს გლობალური პარტნიორობა განათლებაში(Canadian Council for Refugees, 2023). საერთო ჯამში, კანადის კანონები და პოლიტიკა საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის შესახებ, მათ შორის IRPA და განათლების საერთაშორისო სტრატეგია, დაეხმარა ქვეყანას მნიშვნელოვანი სარგებლის მიღებაში კულტურული გამდიდრების, ეკონომიკური ზრდისა და ინოვაციების თვალსაზრისით. გამოწვევების გადაჭრითა და უპირატესობების გამოყენებით, კანადა აგრძელებს ნიჭიერი სტუდენტების მოზიდვას მთელი მსოფლიოდან (Smith & Patel, 2021).

კვლევის მეთოდოლოგია

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციის პოლიტიკის შესახებ რამდენიმე ავტორი საუბრობს უშუალოდ სასწავლო მიგრაციის შესახებ აკადემიური ლიტერატურა მწირია. აღნიშნული კვლევა **აქტუალურია** იმდენად, რამდენადაც საერთაშორისო სტუდენტების, არსებული დოკუმენტებისა და ევროკავშირის სტანდარტების შესწავლის საფუძველზე, იგი პირველია საქართველოში, რომელიც საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის განხორციელების ეფექტიანობასა და ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმნიზაციის პროცესს აკავშირებს ერთმანეთთან და გვთავაზობს შედარებით ანალიზს, ერთის მხრივ დროში შეადარებს ერთმანეთს სახელმწიფო პოლიტიკის შექმნამდე და შექმნის შემდეგ ვითარებას, მეორე მხრივ კი მას განიხილავს საერთაშორისო სასწავლო მიგრანტებთან მიმამრთებით, რომელთაც ეს პოლიტიკა უშუალოდ შეეხოთ. აქედან გამომდინარე წინამდებარე **კვლევის მიზანია** 2013-2023 წლებში საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლა და ევროკავშირის სტანდარტებთან მისი შესაბამისობის შეფასება. შესაბამისად **კვლევის ამოცანებია:**

- საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის პოლიტიკის ირგვლივ არსებული აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა;
- საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩოების შესწავლა;
- საქართველოს საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის მარეგულირებელი ბაზის ანალიზი;

- პირველადი და მეორეული ინფორმაციის შეგროვება და ძირითადი დასკვნების ფორმირება არსებულ საკითხთან დაკავშირებით;

საკითხის აქტუალურობიდან, მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, კვლევის **ობიექტს** წარმოადგენს საერთაშრისო სასწავლო მიგრაციის შესახებ საქართველოს პოლიტიკის ჩარჩოში ასახული ძირითადი მიზნებისა და სტრატეგიების ანალიზი ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ასევე ამ პოლიტიკის ევრკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის დადგენა, ამ თემაზე არსებული ძირითადი მიგნებების ანალიზი და საქართველოს პოლიტიკის შესაბამისობის შეფასება ევროკავშირის სტანდარტებთან და დირექტივებთან სასწავლო მიგრაციასთან დაკავშირებით:

ამდენად **კვლევის კითხვები** შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. რა თავისებურებებით ხასიათდება საქართველოს საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის პოლიტიკა 2013 – 2023 წლებში?
2. რა ფაქტორებითაა განპირობებული სახელმწიფოს პოლიტიკა სასწავლო მიგრანტებთან მიმართებით?
3. რით ჰგავს/განსხვავდება საქართველოსა და ევროკავშირის საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა?

შესაბამისად, ნაშრომში **დაშვებაა** ჩამოყალიბებული

1. 2013-2023 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ხასიათდება ინკრიმენტული ცვლილებებით;
2. საერთრაშორისო სასწავლო მიგრაციის პოლიტიკა განპირობებულია განათლების ხარისხის პოლიტიკის ევროპეიზაციით;
3. საქართველოსა და ევროკავშირის სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია მათი სისტემების ინტერნაციონალიზაციისაკენ, რაც შეეხება განსხვავებას, ევროკავშირს აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სასწავლო მიგრაციის ინსტიტუციური ჩარჩო, საქართველოს კი ნაკლებად ყოვლისმომცველი მმართველობითი სტრუქტურებით ხასიათდება.

ამდენად, კვლევისას **ოთხი ძირითადი ცვლადი**ს ჩამოყალიბებაა შესაძებლებელი. ესენია: ინკრიმენტალიზმი, პოლიტიკის ევროპეიზაცია, განათლების ინტერნაციონალიზაცია და ინსტიტუციური ჩარჩოს ყოვლისმომცველობა. რაც შეეხება მათ **კონცეპუტალიზაციასა** და **ოპერაციონალიზაციას,** უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ **ინკრიმენტალიზმი**, ეს არის გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ოპტიმალური გადაწყვეტილების ძიების

პროცესს წარმოაჩენს გაცილებით მარტივად, ვიდრე თუნდაც ყოვლისმომცველი რაციონალიზმი. აღნიშნული მეთოდი ეფუძნება პრობლემის ცალკეულ და დეტალურ მიმოხილვას და ყურადღებას ნაკლებად ამახვილებს სტრატეგიული პრობლემატიკის გადაწყვეტაზე. ინკრიმენტალიზმით წყდება ოპერაციონალური ხასიათის პრობლემები (ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, 2004). ლინდბლომის აზრით, ინკრიმენტალიზმი საჯარო პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების რეალური შესაძლებლობა გახლდათ, რადგან საჯარო პოლიტიკის ანალიზისას იგი ყურადღებას ამახვილებს ცალკეულ და გამოკვეთილ პრობლემებზე, არსებული გამოცდილების გადახედვაზე (Lindblom, 1959). რაც შეეხება **პოლიტიკის ევროპეიზაციას,** აღნიშნული ტერმინი გამოიყენება ევროკავშირის გავლენის ეროვნულ დონეზე ხაზგასასმელად (Sedelmeier, 2011) და ევროპულ მოდელთან ადაპტაციისას (Jacquot, Woll, 2003). ასევე უნდა მოვახდინოთ ტერმინი **განათლების ინტერნაციონალიზაციის კონცეპტუალიზაცია,** ესაა შეუქცევადი პროცესი, რომლის მიზანია თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი უნარების გადაცემა, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე ყველა ამ პროცესში ჩართული პირისთვის, მას ცირკულარული ხასიათი აქვს და მუდმივ განვითარებაზეა ორიენტირებული (ჩოხელი,2022). რაც შეეხება ინსტიტუციური ჩარჩოს ყოვლისმომცველობას, დუგლას ნორთის აზრით, ყოვლისმომცველი ინსტიტუციური ჩარჩო ეს არის „ადამიანის მიერ შემუშავებული ჩარჩო, რომელიც გარკვეული შეზღუდვების საფუძველზე აყალიბებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთქმედებას“. ეს შეზღუდვები მოიცავს ფორმალურ წესებს (კანონები, კონსტიტუციები), არაფორმალურ ნორმებს (ჩვეულებებს, ტრადიციებს) და მათ აღსრულების მახასიათებლებს. ისინი ერთად ქმნიან ყოვლისმომცველ ინსტიტუციურ ჩარჩოს (North,1990), სწორედ ამიტომ მოხდება პოლიტიკის დოკუმენტების შინაარსის ანალიზი დამატებითი და ყოვლისმომცველი ცვლილებების გამოსავლენად. ასევე პოლიტიკის ანალიზი ევროკავშირის სტანდარტების მიღებისა და დანერგვის შესაფასებლად.

ნაშრომის **თეორიულ ჩარჩოდ** გამოყენებული Push-Pull თეორია, რომელიც თავდაპირველად ჩამოაყალიბა ევერეტ ლიმ, 1966 წელს, იგი ფართოდ გამოიყენება მიგრაციის ასახსნელად იმ ფაქტორების იდენტიფიცირებით, რომლებიც გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე, დატოვონ მშობლიური ქვეყნა და სხვა ქვეყანაში მიიღონ შესაბამისი განათლება. სწორედ ამიტომ, ის გამოყოფს ბიძგებისა და მიზიდვის ფაქტორებს, საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის კონტექსტში ეს თეორია გვეხმარება გავიგოთ როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოთა პოლიტიკასა და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ეს თეორიული ჩარჩო საშუალებას იძლევა განიხილოს როგორც შიდა, ასევე გარე დინამიკის ნიუანსი, რაც უზრუნველყოფს

ყოვლისმომცველ გაგებას, თუ როგორ აყალიბებს სასწავლო მიგრაციის დინამიკა სახელმწიფო პოლიტიკას. ის ასევე ხელს უწყობს სტუდენტური მიგრაციის მოტივებისა და სხვადასხვა პოლიტიკის ღონისძიების ეფექტურობის მკაფიო გამოკვლევას.

აღნიშნული ნაშრომის სპეციფიკიდან, შინაარსიდან, საკვლევი კითხვიდან გამომდინარე, გამოყენებულია **თვისებრივი კვლევის სამი მეთოდი : ექსპერტული ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი და დოკუმენტების ანალიზი**. კვლევის ეს მეთოდები ყველაზე ოპტიმალური და სწორი გამოსავალია (Porta, 2014), რათა საკვლევ კითხვას პასუხი ნათლად გაეცეს. ჩატარდა ***ხუთი ნახევრადსტრუქტურირებული ექსპერტული ინტერვიუ***, ინტერვიუს ხანგრძლივობა საშუალოდ **50 წუთს** შეადგენდა, კვლევისა და ინტერვიუს პერიოდს წარმოადგენდა აპრილი-მაისის პერიოდი. რაც შეეხება **შერჩევას**, კვლევისას გამოყენებულია **არაალბათური მიზნობრივი შერჩევა**. კვლევის პროცესში შერჩეული ყველა რესპოდენტი მიზნობრივად და თემის შინაარსიდან გამომდინარე არის შერჩეული კვლევისას. ინტერვიუს პროცესი წარიმართა მიგრააციისა და განათლების ექსპერტებთან. ასევე კვლევისას გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის კიდევ ერთ მეთოდი, **ფოკუს ჯგუფი, რომელიც ჩატარდა ხელმისაწვდომი შერჩევით, მონაწილეობა მიიღო 27 -მა ადამიანმა.** ფოკუს ჯგუფის შემადგენლობად განისაზღვრნენ **საერთაშორისო სტუდენტები**, რადგან ისინი სასწავლო მიგრაციით საქართველოში მცხოვრებ ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენენ. დღესდღეობით ქვეყანაში 25.1 ათასი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური , 2023) საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს, რომლებიც ფლობენ ცოდნას აღნიშნული საკვლევი თემის ირგვლივ. ფოკუს ჯგუფი ჩატარდა 2024 წლის

- 18 აპრილს;
- 20 აპრილს;
- 21 აპრილს;

სამ ეტაპად :

პირველ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა **9 უცხოელი სტუდენტი**, რომელთაგან 5 იყო მამაკაცი, 4-ქალი. გეოგრაფიული თვალსაზრისით, ისინი იყვნენ ისეთი ქვეყნის მოქალაქეები როგორიცაა:

- 3 ინდოელი სტუდენტი;
- 2 იორდანიელი სტუდენტი;
- 2 ნიგერიელი სტუდენტი;
- 1 ფრანგი სტუდენტი;

- 1 ბრიტანელი სტუდენტი;

რაც შეეხება იმას, თუ რომელი **უნივერსიტეტის სტუდენტები** გახლდნენ:

- ხუთი მათგანი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტიდან;
- ორი მათგანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან;
- ერთი მათგანი ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტიდან;
- ერთი მათგანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან;

მეორე ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო **9 უცხოელმა სტუდენტმა** რომელთაგან 5 იყო ქალი 4-მამაკაცი. გეოგრაფიული თვალსაზრისით, ისინი იყვნენ ისეთი ქვეყნის მოქალაქეები როგორიცაა:

- 3 ინდოელი სტუდენტი;
- 1 თურქი სტუდედნტი;
- 1 ზიმბაბვეელი სტუდენტი;
- 1 პალესტინელი სტუდენტი;
- 1 თურქი სტუდენტი;
- 1 გერმანელი სტუდენტი;
- 1 ესპანელი სტუდენტი;

რაც შეეხება იმას, თუ რომელი **უნივერსიტეტის სტუდენტები** გახლდნენ:

- სამი მათგანი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტიდან;
- ოთხი მათგანი აღმოსავეთ ევროპის უნივერსიტეტიდან;
- ერთი მათგანი სუხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტიდან;
- ერთი მათგანი თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტიდან;

რაც შეხეება **მესამე ფოკუს ჯგუფს** მონაწილეობა მიიღო 9 **რესპოდენტმა**, რომელთაგან 5 იყო ქალი 4-მამაკაცი, უმრავლესობა გახლდათ ინდოეთიდან.

- 3 ინდოელი სტუდენტი;
- 1 ირანელი სტუდენტი;
- 2 ებრაელი სტუდენტი;
- 1 ბრიტანელი სტუდენტი;
- 1 თურქი სტუდენტი;
- 1 ნიგერიელი სტუდენტი;

რაც შეეხება იმას, თუ რომელი **უნივერსიტეტის სტუდენტები** გახლდნენ:

- ოთხი მათგანი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტიდან;

- ორი მათგანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან;
- ერთი მათგანი შოთა რუსთავეილს სამედიცინო აკადემიიდან;
- ხუთი მათგანი საქართველოს უნივერსიტეტიდან;

რაც შეეხება თვისებრივი კვლევის კიდევ ერთ მეთოდს, დოკუმენტების ანალიზს, კვლევის პროცესში შესწავლილია, როგორც პირველადი, ასევე მეორეული წყაროები. **მიზნობრივად შეირჩა 25 დოკუმენტი,** რომელთაგან **15 სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტია** : საკანონმდებლო ჩარჩო და მიგრაციის სახელმწიფო სტრატეგიები. ასევე გაანალიზდა **10 საერთაშორისო დოკუმენტი**, კერძოდ როგორც ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე 5 წამყვანი სახელმწიფოს ჩარჩო დოკუმენტები. ასევე სტატიის მიზნიდან, ამოცანებიდან და საკვლევი კითხვიდან, კვლევისას გამოიკვეთა ერთი ძირითადი **შეზღუდვა.** კვლევის პერიოდად აღებულია 2013 – 2023 წლები, ამიტომ კვლევა არ მოიცავს საქართველოში საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის პოლიტიკის ყველა ასპექტს. კვლევის პროცესში შერჩეული ყველა რესპოდენტი მიზნობრივად და თემის შინაარსიდან გამომდინარე არის შერჩეული. კვლევის პროცესში განისაზღვრა სხვადასხვა **ეთიკური ნორმა** - თითოეული რესპოდენტი ნებაყოფლობით იყო ჩართული აღნიშნულ კვლევაში. ასევე, დაცული იყო მათი ანონიმურობა და კონფიდენციალურობა, რათა მათი მხრიდან ინფორმაციისა და პრაქტიკის გაზიარება მეტად გულწრფელი ყოფილიყო. თითოეულ ინტერვიუმდე რესპოდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია კვლევის შინაარსის, მიზნების შესახებ. ასევე მათ განემარტათ, თუ რატომ შეირჩნენ სწორედ ეს ადამიანები ამ კვლევის რესპოდენტებად. ასევე, წინასწარ იყო შეთანხმებული ინტერვიუს ჩანაწერის გაკეთების პროცესი.

კვლევის ვალიდურობის უზრუნველსაყოფად, დამუშავებული ინფორმაცია შემოწმდა, როგორც კვლევის სუბიექტების მიერ, ასევე, კვლევის შედეგები კვლევის ხელმძღვანელმაც შეაფასა. რაც შეეხება **სანდოობის** საკითხს, ინფორმაცია მოპოვებულია, როგორც დოკუმენტების, ასევე სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების სახით. ამავე დროს, რესპოდენტები შერჩეულნი არიან იმ სხვადასხვა უწყებიდან, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის უფლებამოსილების დელეგირების პროცესში, რაც ინფორმაციის გადამოწმების საშუალებას იძლევა.

კვლევის შედეგები და დისკუსია

ჰანს დე ვიტი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო სტუდენტების როლზე უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციაში. ის განსაზღვრავს საერთაშორისო სტუდენტებს, როგორც ინდივიდებს, რომლებიც ირიცხებიან საგანმანათლებლო დაწესებულებებში თავიანთი ქვეყნების გარეთ, რაც ხელს უწყობს მრავალფეროვნებას, მულტიკულტურალიზმს და მასპინძელი ინსტიტუტების გლობალურ ჩართულობას. სასწავლო მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის მოწესრიგება მნიშვნელოვანია.

მიგრაციის ზოგადი უფლება რეგულირდება უმაღლესი კანონით კონსტიტუციით (ცენტრი, მიგრაციის სახელმძღვანელო, 2017). 1997 წელს შეიქმნა პირველი ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც მიგრაციის პოლიტიკას არეგულირებდა. ამ დოკუმენტში ყურადღება ძირითადად შრომითი მიგრაციისა და დიასპორის საკითხებზე იყო გამახვილებული, თუმცა დოკუმენტს განხორციელების გეგმა არ ახლდა თან, რის გამოც იგი საქართველოს მთავრობამ გააუქმა (ცენტრი, მიგრაციის სახელმძღვანელო, 2017). იმიგრაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში - საქართველოს 2005 წლის კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიცვალა საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, 2014 წელს ითვალისწინებდა უკიდურესად ლიბერალურ სავიზო რეჟიმს (ცენტრი, მიგრაციის სახელმძღვანელო, 2017).

2014 წელს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მიღებით, დაიწყო სავიზო პოლიტიკის გამკაცრების პროცესი. პირველ რიგში, ეს იყო სამართლებრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარების შედეგი ევროკავშირთან, კერძოდ, 2010 წლის 22 ნოემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა შესახებ. ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტს. შეთანხმება ითვალისწინებდა არა მხოლოდ ევროკავშირში არალეგალურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების, არამედ მესამე ქვეყნის მოქალაქეების საზღვარზე მკაცრ კონტროლს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება, რომელიც დაიდო 2014 წელს, მოიცავს ვალდებულებას საქართველომ ითანამშრომლოს ევროკავშირთან პრობლემის მოსაგვარებლად, არალეგალური მიგრაცია და ემიგრაციის შესახებ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელებისათვის (ასოცირების შეთანხმების პრეამბულა, 2014). პირველი ოფიციაალური სტრატეგია მიგრაციის მართვის კუთხით 2013 წელს შეიქმნა. უნდა აღინიშნოს რომ ამ პერიოდიდან

საქართველოს მიგრაციის პოლიტიკა და მართვის სტრუქტურა საკმაოდ სწრაფად განვითარდა საქართველოში (IOM, 2007), მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა თითქმის ყველა მიმართულებით. შემუშავებულია პოლიტიკის ყოვლისმომცველი ჩარჩო დოკუმენტები, შეიქმნა მიგრაციის მართვის სტრუქტურა და საკოორდინაციო სააგენტო და სექტორული პოლიტიკა ეტაპობრივად მწიფდება. ყველაზე ფუნდამენტური ცვლილება ეს იყო მიგრაციის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების გადახედვა - საქართველოს ლიბერალური მიდგომა მიგრაციის მიმართ გარდაიქმნება ევროკავშირის მიგრაციის კანონმდებლობის შესაბამისად. (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2015). რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს 118 ქვეყნის მოქალაქეებისთვის შედარებით ლიბერალური სავიზო რეჟიმი ჰქონდა. არსებობდა ქვეყნები, რომლებსაც არ სჭირდებოდათ ვიზა საქართველოში შემოსასვლელად და მათ მოქალაქეებს შეეძლოთ მუშაობა ერთი წლის განმავლობაში ყოველგვარი ბინადრობის ნებართვის აღების საჭიროების გარეშე. ანალოგიურად ამ ქვეყნების სტუდენტებისთვის საჭირო არ იყო სტუდენტური ვიზა(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2015). იმისთვის რომ ლეგალურად დარჩენილიყვნენ ქვეყანაში, ამ მოქალაქეებს უბრალოდ შეეძლოთ რამდენიმე დღით დაეტოვებინათ საქართველო და ხელახლა შესულიყვნენ ქვეყანაში, დარჩენის უფლება კიდევ 360 დღით გაეხანგრძლივებინათ. ამან ასევე განაპირობა ის, რომ ზოგიერთი საგანმანათლებლო მიზნით საქართველოში ჩამოსული მიგრანტი სტუდენტები საკმაოდ მარტივად იღებდნენ ვიზას(Rimple, 2012). ახალი კანონი უცხოელთა შესახებ რომელიც ითვალისწინებს საქართველოში სავიზო რეჟიმის განახლებულ მოთხოვნებს, 2014 წლის 1 სექტემბერს შევიდა ძალაში. კანონი ითვალისწინებს ვიზების გაცემას მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში. მიგრანტებს, რომლებსაც შესვლისთვის ვიზა სჭირდებათ წინაწარ უნდა გააკეთონ განაცხადი საზღვარგარეთ საქართველოს ერთ-ერთ დიპლომატიურ წარმომადგენლობაში. ამჟამად 94 ქვეყნის მოქალაქეს არ ესაჭიროება ვიზა საქართველოში შესასვლელად, მაგრამ ქვეყანაში დარჩენა უვიზოდ 90 დღის განმავლობაშია შესაძლებელი. განაცხადის შევსებისას სტუდენტის სტატუსის მსურველმა უცხოეთის მოქალაქემ უნდა წარადგინოს სამგზავრო დოკუმენტი, (მაგალითად, უნივერსიტეტისგან მიღებული ცნობა), პასპორტი, საკონსულო მოსაკრებელი, სამოგზაურო დაზღვევა და საქართველოში საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია. განსაზღვრული დოკუმენტები დედანის სახით უნდა იყოს წარდგენილი ქართულ ან ინგლისურ ენაზე. დასაშვებია აპასტილით დამოწმებაც. დასაშვებობის ეტაპის გავლის შემდეგ, ვიზის გამცემი ორგანო იწყებს განცხადების განხილვას. (საქართველოს მიგრაციის სტრატეგია, 2018) ასევე სწორედ ამ პერიოდში დაინერგა სპეციალიზებული ვიზები სწავლისთვის. თუმცა 2013 წლის დოკუმენტში კონკრეტულად უცხოელი სტუდენტების მიმართ

განსახორციელებელ ღონისძიებებზე არაფერია ნათქვამი. დოკუმენტი ყველა მიგრანტზე არის გათვლილი რაც მათი ყოფის გაუმჯობესასაც გულისხმობდა. სასწავლო მიგრაციის პროცესში მონაწილე სტუდენტები არიან გრძელვადიანი მიგრანტები, რომლებიც რჩებიან რამდენიმე წლის განმავლობაში და მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ შეიძლება ჩაითვალონ მუდმივ მიგრანტებად, რადგან ბევრი მათგანი გეგმავს სამშობლოში დაბრუნებას სწავლის დასრულების შემდეგ. „ 2013 წლამდე ფაქტობრივად სრული ქაოსი იყო არ ხდებოდა კონტროლი, რასაც შეიძლება მძიმე შედეგი გამოეწვია, მიუხედავად იმისა რომ ეს სტრატეგიები და მიღებული გადაწყვეტილებები არ არის სრულყოფილი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკამ ცალსახა წინსვლა განიცადა“ (სიღრმისეული ინტერვიუ გ.გ , 26.04.2024). პოლიტიკის შემქმნელთა კონტროლის მიღმა რამდენიმე მაკრო ფაქტორი აყალიბებს საერთაშორისო სტუდენტების დანიშნულების არჩევანს. მათ შორის მთავარია გეოგრაფიული სიახლოვე, საერთო ოფიციალური ენები და დიასპორული საზოგადოების არსებობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემების მიხედვით, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების რაოდენობა სტაბილურად გაიზარდა 2013 წლიდან 2023 წლამდე. ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა 2021 და 2022 წლებში, (განათლების და მეცნიერების სამინისტრო 2023). 2014 წელს შეიცვალა ვიზებისა და ბინადრობის ნებართვების გაცემის წესი, რომელიც მიზნად ისახავდა საიმიგრაციო ნაკადების უკეთ მართვას. ასევე უცხოელი სტუდენტებისათვის სწავლის საფასური უფრო მაღალია ვიდრე ადგილობრივი სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, ზოგიერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ), რომელიც იზიდავს უამრავ უცხოელს სტუდენტს, ასევე ცდილობს ყოველწლიურად გაზარდოს სწავლის საფასური უცხოელებისთვის. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის ცვლილებამ გამოიწვია სხვადასხვა შედეგი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. მაგალითად, შვედეთში სწავლის საფასურის შემოღებამ ევროკავშირისა და EEA-ს გარეთ მყოფი ქვეყნების სტუდენტებისთვის 2011 წელს გამოიწვია ამ ჯგუფიდან ახალი ჩარიცხვების მკვეთრი შემცირება პირველ წელს, 80%-ით. ახალი სტუდენტების მკვეთრი კლება შეადგენდა ბანგლადეშის, ეთიოპიის, თურქეთისა და უკრაინის სტუდენტების უმეტეს ნაწილს. 2006 წელს დანიაში ანალოგიურმა რეფორმამ გამოიწვია 20%-ით შემცირება პირველ წელს (Sanchez-Serra , Marconi, 2018) . პირველი წლის შემდეგ, დანიაშიც და შვედეთშიც დაიწყო ახალი საერთაშორისო ჩარიცხვების რიცხვის ზრდა და მას შემდეგ დაუბრუნდა დაახლოებით იმავე დონეს, როგორიც

რეფორმების წინა დღეს იყო. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი არის ახალი სტიპენდიების გაფართოება და შემოღება(Sanchez-Serra , Marconi, 2018).

2016 წელს შეიქმნა 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია, ამ სტრატეგიაში უფრო მეტი აქცენტი გაკეთდა უცხოელ სტუდენტებსა და ზოგადად საერთაშორისო სასწავლო მიგრაციაზე. ყურადღრება გამახვილდა ბინადრობის საკითხებზე, ასევე საუბარი იყო იმაზე, რომ განხორციელებულიყო სხვადასხვა შეხვედრები უცხოელ სტუდენტებთან, რათა მათთვის დეტალურად ახსნილიყო ვიზის მოპოვებისა და ბინადრობის საკითხები. (საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია, 2016) ეს იყო პირველი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელშიც სახელმწიფო ხაზს უსვამდა უცხოელთა ინტეგრაციის მხარდაჭერას. ამ დოკუმენტმა ჩამოაყალიბა მიგრანტების სამოქალაქო ჩართულობის კონკრეტული მიზნები, მათთვის განათლების ყველა ეტაპის ხელმისაწვდომობა, კულტურული ცვლილებები, ინტეგრაციის შესაძლებლობების შექმნა და ამ შესაძლებლობების შემდგომი გაუმჯობესება. ის ასევე დაადგინა სახელმწიფო უწყებამ, რომელიც პასუხისმგებელი უნდა იყოს ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავებაზე, თუმცა ეს საქმიანობა განხორციელდა მხოლოდ საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან მიმართებით. დოკუმენტს თან ერთვოდა შესრულების გეგმა და ხანგრძლოვობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება იყო. მსგავსი სახის დეტალები მთავრობის მიერ მანამდე არ განსაზღვრულა. ასევე დოკუმენტში განსაზღვრულია ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო სტუდენტებისათვის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილში გამოიკვლევენ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ აზრს და მოხდება საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის საკითხზე ცნობიერების ამაღლება, ასევე უცხოელ სტუდენტებთან შეხვედრები, (საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია, 2016).

„ეფექტური პოლიტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს ხელმისაწვდომობაზე, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესების, როგორიცაა სავიზო განაცხადების და ბინადრობის ნებართვების გამარტივებასა და გამჭვირვალობას. ეს არა მხოლოდ ამარტივებს გადაწყვეტილების მიღებასხ პერსპექტიული სტუდენტებისთვის, არამედ საქართველოს პოზიციონირებს კონკურენტუნარიანად გლობალურ საგანმანათლებლო მიმართულებებს შორის.“ (სიღმისეული ინტერვიუ , ქ.ჭ 09.06.2024)

საქართველოში არსებობს მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისია(SCMI), რომელიც შეიქმნა საქართველოს მთავრობის განკარგულებით, განსაზღვრავს მთავრობის ერთიან პოლიტიკას და მართავს მიგრაციულ პროცესებს. მისი ძირითადი ფუნქციაა, მოამზადოს წინადადებები და რეკომენდაციები გასცეს მთავრობის პოლიტიკის განსაზღვრისა და მიგრაციის მართვის სახელმწიფო სისტემის გასაუმჯობესებლად შიდა და გარე მიგრაციასთან დაკავშირებით. კომისიის

წევრია ცხრა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი, თავმჯდომარე კი, იუსტიციის მინისტრი. მიგრაციის კომისიის მიზნები გაწერილია ამ დებულებების მიხედვით. უწყების მიზანია ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა და მიგრაციული პოლიტიკის მართვის გაუმჯობესება. კომისია აერთიანებს 9 უწყებას და მიგრაციის სამთავრობო კომისია თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, როგორიცაა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც 1951 წელს დაარსდა. იგი მუშაობს საერთაშორისო მიგრაციის საკითხებზე (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის დებულება, მუხლი 1). „მიგრაციის კომისიის არსებობა რა თქმა უნდა აუცილებელია , მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდე 2010 წელს ფორმალურად შეიქმნა, არ იმუშავა და ძალიან მალე გაუქმდა, 2013წლიდან მოყოლებული იგი ცდილობს სახელმწიფო პოლიტიკაში არსებული ჩავარდნების აღმოფხვრას და მიგრანტთა ცხოვრების გაუმჯობესებას გარკვეული დებულებების მიღებით, თუმცა ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია“ (სიღრმისეული ინტერვიუ გ.გ 26.04.2024).

საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარება, რა თქმა უნდა, წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს მიგრანტების ინტეგრაციის მხარდასაჭერად. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი პასუხისმგებელია განათლების აღიარებაზე საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის შემოწმების წესების შესაბამისად. საქართველოში გაცემული და საზღვარგარეთ მიღებული განათლების აღიარების პროცესი მოიცავს საზღვარგარეთ მიღებული სრული ზოგადი განათლების, პროფესიული განათლების, აკადემიური კვალიფიკაციის აღიარებას ან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისას მიღებული განათლების ნამდვილობის შემოწმებას. 2017 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, უცხოელი სტუდენტების ინტერესი უმაღლესი განათლების მისაღებად უზრუნველყოფილია ქვეყანაში უსაფრთხოების მაღალი სტანდარტებით, სწავლის ხელმისაწვდომობით, კვალიფიციური აკადემიური პერსონალით და ინგლისური ენის სასწავლო პროგრამების ხელმისაწვდომობით. ქვეყანაში უცხოელი სტუდენტების მოზიდვა არის სახელმწიფო პოლიტიკა და ვებგვერდი, www.studyinGeorgia.ge, სწორედ ამ მიზნით შეიქმნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს ეგიდით. ეს ვებგვერდი განკუთვნილია საქართველოში სწავლით დაინტერესებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ინფორმაციას ქვეყანაში არსებული უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლის დაფინანსების და ქვეყანაში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ."უმაღლესი განათლების ხარისხი საქართველოში არის საკვანძო ფაქტორი საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვაში.

ქართული უნივერსიტეტები სთავაზობს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფ პროგრამებს, რომლებიც ისწავლება ინგლისურად. ეს უადვილებს მათ ინტეგრირების პროცესს აკადემიურ გარემოში გარდა ამისა, საერთაშორისო უნივერსიტეტებთან პარტნიორობა აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას მიიღონ გაცვლითი პროგრამები და ორმაგი ხარისხი, რაც კიდევ უფრო ზრდის საქართველოში სწავლის მიმზიდველობას.“ (სიღრმისეული ინტერვიუ , ქ.ჭ 09.06.2024).

ამ კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს უცხოელი სტუდენტების სწავლისა და გარემოს შესახებ საქართველოში განხილვისას, სტუდენტებმა ყურადღება გაამახვილეს, პირველი, საზღვარზე შესვლაზე უარის თქმის პროცესზე და სტუდენტების დაბრუნებაზე მათ ქვეყნებში. ხშირი უარი D3 კატეგორიის ვიზების გაცემაზე (რომლებიც გაიცემა სასწავლებლად მოსულ პირებზე საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში) საქართველოში ჩამოსულ პირებს(LEPL, 2021). „ვიზის აღების პროცესში პრობლემები შეექმნათ ჩვენს ბენეფიციარებს, დაახლოებით 1წლის განმავლობაში ელოდებოდნენ პასუხს. ცხელ ხაზზეც არავინ პასუხობდათ, მეილზეც იგივე პრობლემა იყო. ასე რომ ერთგვარი ვაკუუმი შეიქმნა ინდოელი სტუდენტებისათვის(სიღმისეული ინტერვიუ ა.ს , 21.04.2024). 2014-2018 წლებში უცხოეთის მოქალაქეებს ყველაზე ხშირად სასწავლო ვიზის მიღებაზე უარი ეთქვათ საკუთარი პიროვნებისა ან მგზავრობის მიზნის შესახებ ყალბი ინფორმაციის მიწოდებისთვის.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, არასაქართველოს მოქალაქეებისთვის, მათ შორის სხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის, საზღვარგარეთ მცხოვრები სახელმწიფო განათლების გრანტი შეიძლება გაიცეს არაუმეტეს 2%-ის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, განსაზღვრული სახელმწიფო განათლების გრანტის დაფინანსების წლიური მოცულობისა. 2020-2021 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაფინანსების წლიური მოცულობა ჩაირიცხა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელიც შეადგენდა 240 000 ლარს(2021). თუმცა კვლევის პროცესში სტუდენტების მხრიდან მრავალ გზის აღინიშნა, რომ მათ არც დაფინასებაზე და არც სტიპენდიასთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ გააჩნიათ. ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მიზნის მიხედვით, უცხოელი სტუდენტების მობილურობა უნდა გაიზარდოს. განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია დიდწილად არის დამოკიდებული სახელმწიფო მიგრაციული პოლიტიკის განხორციელებაზე.

საქართველომ აქტიურად დაიწყო ეს პროცესი. პირველ რიგში, მოხდა საერთო კრედიტული სისტემის შექმნა, რაც უცხოელ სტუდენტებს უმარტივებს საქართველოში მიღებული განათლების აღიარების პროცესს. მიუხედავად ამისა უცხოელი სტუდენტების დაინტერესება საკმაოდ რთული პროცესია. მთავარი პრობლემა სტუდენტების ინფორმირების დაბალი დონეა. ინტერვიუსას ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორად ჩემმა რესპოდენტმა დაასახელა მაგისტრატურის საფეხურზე სწავლების ხანგრძლივობაც, რომელიც 2023 წლამდე ორ წელს შეადგენდა ყველა პროგრამისათვის. თუმცა 2024 წელს მიღებული გადაწყვეტილებით მაგისტრატურის ხანგრძლივობა მცირდება გარკვეულ სასწავლო მიმართულებებზე, რაც, მისი აზრით, პოზიტიურად აისახება განათლების ინტერნაციონასლიზაციის პროცესზე: „ხშირად მომისმენია სხვადასხვა ევროპული უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან, რომ მაგისტრატურა საჭიროზე მეტად ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს საქართველოში, რაც როგორც მატერიალურ, ასევე სხვა პრობლემებთანაა დაკავშირებული და სტუდენტთა მოტივაციაზე, ისწავლონ საქართველოში, უარყოფითად აისახება. სწორედ ამიტომ ახლახანს მიღებული გადაწყვეტილება, ჩემი აზრით, კიდევ უფრო მეტად მოიზიდავს უცხოელ სტუდენტებს'' (სიღრმისეული ინტერვიუ ნ.უ 28.04.2024).

აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოელ სტუდენტებისათვის, სწავლის გადასახადი საკმაოდ მაღალია ქართველ სტუდენტებთან შედარებით. სწორედ მათ მიერ გადახდილი გადასახადი აძლევს უნივერსიტეტებს საშუალებას რომ განვითარდნენ და ინფრასტრუქტურაც დახვეწონ. „ფაქტია რომ დღეს უცხოელი სტუდენტები გახდნენ უნივერსიტეტთათვის შემოსავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო. თუ ტენდენციას გადახედავთ, ნახავთ რომ უცხოელი სტუდენტები ძირითადად მედიცინის ფაკულტეტით არიან დაინტერესებნულნი. ბოლო წლებში კი უამრავმა კერძო უნივერსიტეტმა დაამატა მედიცინის პროგრამა საკუთარ უნივერსიტეტებში“ (სიღრმისეული ინტერვიუ , გ.გ 26.04.2024). თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ISET-ის კვლევის თანახმად, უცხოელ სტუდენტთა უმრავლესობა არ ფიქრობს საქართველოში არც სწავლის გაგრძელებას, არც სამუშაო ადგილის ძებნას (უცხოელ სტუდენტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, 2019).

საბოლოო ჯამში ფაქტია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მხოლოდ ბიუროკრატიული პროცესებითაა დაკავებული, რაც უცხოელს სტუდენტთა უნივერსიტეტებში ჩარიცხვითა და მინისტრის ბრძანების დაწერით არის გამოხატული, თუმცა სტუდენტებისთვის ოფიციალური ინფორმაციის მიწოდება, ჩარიცხვის შემდგომი პროცედურების განხილვა და ა.შ. მათთვის პრიორიტეტი არ არის. „უცხოელი სტუდენტების შესახებ ინფორმაციას ჩვენ მხოლოდ ჩარიცხვებთან დაკავშირებით ვიღებთ. მათთვის სხვა სახის გაცნობით თუ საინფორმაციო

შეხვედრებზე არაფერი მსმენია. ამ მიმართულებით არც უნივერსიტეტების დავალდებულება ხდება, სტუდენტებმა ხშირად ისიც კი არ იციან, ჩარიცხვის შემდეგ რა უნდა გააკეთონ ამიტომ არსებობს ე.წ. „აგენტების სამსახური“, რომელიც მათ ყველა პროცედურაში ეხმარება“ (სიღრმისეული ინტერვიუ გ.კ 24.04.2024).

საერთაშორისო სტუდენტების მნიშვნელობა და მათი ღირებულება არის გააზრებული და აღიარებული ევროკავშირის მიერ. მესამე ქვეყნის მოქალაქეების ევროკავშირში სწავლის მიზნით მობილობის ხელშეწყობა იყო ევროკავშირის პოლიტიკის ნაწილი, 1994 წელს მიღებული რეზოლუციით, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიღება ევროკავშირის (წევრი) სახელმწიფოების ტერიტორიაზე სასწავლო მიზნით (National Audit Office, 2012).

მესამე ქვეყნის მოქალაქეთა კატეგორიები შემდეგნაირად განისაზღვრა: სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, ანაზღაურებადი სტაჟიორები და მოხალისეები. ეს დირექტივა სტუდენტებს არ აძლევს შესაძლებლობას სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობის ნებართვა მიიიღონ. ევროკავშირის პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებულ იქნა ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების ნაკრები. პირველ რიგში, უნდა აღინინშნოს ონლაინ პორტალის „სწავლა ევროპაში“ შექმნა, იგი 2008 წელს შეიქმნა და ახალგაზრდებს სთავაზობს მკაფიო და განახლებულ ინფორმაციას, მაგალითად, შეთავაზებული კურსების სპექტრის შესახებ, მიღების პროცედურების, ხარჯებისა და სტიპენდიის შესაძლებლობებზე. ეს იყო ფართო კამპანიის ნაწილი ევროკავშირში საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიზნით (OECD , 2012).

ევროკავშირის არაწევრი სტუდენტების სასწავლებლად ევროკავშირის (წევრი) ქვეყნებში მიღების პირობები რეგულირდება საბჭოს დირექტივით 2004/11419, რომელიც ითვალისწინებს მესამე ქვეყნის მოქალაქეების შესვლას ევროკავშირში(Journal of the European Union, 2004). უნდა განიზაღვროს თუ რა არის ევროკავშირის წევრ სახერლმწიფოში შესვლის მიზნები, გაცვლითი პროგრამა, ანაზღაურებადი ტრენინგი ან ნებაყოფლობითი სამსახური, შესვლისათვის საჭიროა ადეკვატური ფინანსური რესურსი, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღება სწავლის საფასურის წინასწარი გადახდა, ასევე ვიზები და ბინადრობის ნებართვა. მაგალითად, სწრაფი დაშვების შესაძლებლობა ბინადრობის ნებართვის ან საერთაშორისო სტუდენტების ვიზის პროცედურა. ბინადრობის ნებართვა უარის მიეზი შეიძლება იყოს საჯარო პოლიტიკის, უსაფრთხოების ან ჯანმრთელობის მოტივი. უნდა აღნიშნოს, რომ საერთაშორისო სტუდენტებს უფლება აქვთ განახორციელონ ეკონომიკური საქმიანობა ევროკავშირში, კვირაში მინიმუმ 10 საათი,

თუმცა შეიძლება შეზღუდული იყოს გარკვეული სექტორებით ან პერიოდებით (მაგ. დასვენების პერიოდები). გარდა ამისა, ევროკავშირის სავიზო კოდექსი(რეგლამენტი (EC) No 810/2009) ითვალისწინებს სავიზო გადასახადის გაუქმებას სტუდენტებისთვის, ასპირანტებისთვის და თანმხლები მასწავლებლებისთვის, რომლებიც იღებენ ვალდებულებებს ამ მიზნით სასწავლო ან საგანმანათლებლო მომზადების განხორციელებაზე (Journal of the European Union, 2004).

მთლიანობაში, (წევრ) სახელმწიფოებს აქვთ სისტემა მესამე ქვეყნის კვალიფიკაციის აღიარებისთვის, რათა ხელი შეუწყონ მიღების განაცხადების პროცესს. მაგალითად, ავსტრიაში, კვალიფიკაციის აღიარების სისტემა გადაიხედა 2012 წელს, რის შედეგადაც შემცირდა ვალიდაციის დრო ექვსიდან სამ თვემდე. უმეტეს (წევრ) ქვეყნებში, საერთაშორისო სტუდენტებს შეუძლიათ შეამოწმონ თავიანთი რწმუნებათა სიგელები ეროვნულ აკადემიურ საინფორმაციო ცენტრში. ასეა ავსტრიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ლატვიაში, ლიტვაში, პოლონეთში(Archer,Cheng, 2012).

2004/114/EC დირექტივის 12(1) მუხლის თანახმად, მესამე ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მე-6 და მე-7 მუხლების პირობებს, უფლება აქვთ მიიღონ ბინადრობის ნებართვა. ბინადრობის მოწმობა გაიცემა მხოლოდ შესაბამის (წევრ) სახელმწიფოში შესვლის შემდეგ და, შესაბამისად, პირველ რიგში, სტუდენტებმა უნდა მიმართონ გრძელვადიანი ვიზის მისაღებად. (Journal of the European Union ,2004).

როგორც წესი, საერთაშორისო სტუდენტები, რომლებიც ითხოვენ ვიზას/ბინადრობის ნებართვას, უნდა ეწვიონ დიპლომატიურ ან (წევრი) სახელმწიფოს საკონსულო უწყებებს, სადაც პირადად გამოიკითხავენ და დაადგენენ საბუთების ვალიდურობას. ზოგიერთი (წევრი) სახელმწიფო (ავსტრია, ესტონეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, შვედეთი) ზოგადად იღებს მხოლოდ პირველად განცხადებებს ვიზისა და ბინადრობის ნებართვის მისაღებად. ზოგიერთ (წევრ) ქვეყანაში, რომელშიც სხვადასხვა ნებართვები და ვიზები გამოიყენება ამ მიზნით შესვლისთვის (OECD , 2012)

სწავლის დროს, საერთაშორისო სტუდენტები ირჩევენ იმ ვარიანტს, რომელიც ხელს უწყობს მათ შესვლას რაც შეიძლება სწრაფად ვროკავშირის წევრ ქვეყანაში. მაგალითად, ლიტვაში საერთაშორისო სტუდენტებს აქვთ განაცხადის შეტანის შესაძლებლობა დროებითი ბინადრობის ნებართვების ასაღებად წევრი სახელმწიფოს გარეთ. თუმცა, როგორც წესი, უნივერსიტეტები ურჩევენ მომავალ სტუდენტებს რომ სტუდენტებმა განაცხადონ მრავალჯერადი ვიზების მისაღებად, რადგან ბინადრობის ნებართვას შეიძლება დასჭირდეს ხანგრძლივი დრო, მაგალითად

ექვსი თვე, ხოლო ეროვნული ვიზის გაცემას მხოლოდ 15 დღე სჭირდება, თუმცა ეს მხოლოდ საერთაშორისო სტუდენტების შემთხვევაში(Journal of the European Union, 2004). ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს აქვთ განსაზღვრული პოლიტიკა რომელიც საშუალებას აძლევს უცხოელ სტუდენტებს დასაქმდნენ ევროკავშირში. სწავლის დასრულების შემდეგ საერთაშორისო სტუდენტების გავლენა შრომის ბაზარზე განსხვავებულია (წევრი) სახელმწიფოების მიერ განხორციელებული პოლიტიკისა და სტრატეგიის სახეობიდან გამომდინარე, მაგალითად, ესტონეთი ყოველწლიურად იღებს საერთაშორისო სტუდენტების დაახლოებით ხუთიდან ათ პროცენტს და ასაქმებს მათ(Archer,Cheng, 2012). 2018 წელს ევრობარომეტრის სპეციალურ კვლევა ჩატარდა სასწავლო მიგრანტების ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ. ევროკავშირის მოსახლეობის გამოკითხულ რესპოდენტთა 69% - მა მიიჩნია, რომ ინტეგრაციის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, 90%-ზე მეტი ამბობს, რომ სასწავლო მიგრანტებს ქვეყნის კეთილდღეობის განვითარების პროცესში წვლილი შეაქვთ. ეს აღმოჩენა იყო, რომელიც საკუთარ ნაშრომშიც დაადასტურეს დენისონმა და დრაზანოვამ (2018), რომლებმაც დაადგინეს, რომ „ევროპელებს სურთ სასწავლო მიგრანტები რომლებსაც შეუძლიათ ქვეყნების ეკონომიკური განვითრება".

ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობები 25 წელზე მეტს ითვლის. ბოლო წლებში ევროკავშირის და საქართველოს ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადავიდა. საქართველო თავისი არსებობის პერიოდში მუდმივად მიისწრაფოდა ევროპისაკენ. ის ყოველთვის ცდილობდა მასთან დაახლოვებას და დასავლური კურსის ერთგული რჩებოდა. 1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მან დაიწყო აქტიური მუშაობა ევროკავშირში გაერთიანებისათვის. მას შემდეგ ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობა წლებთან ერთად ვითარდება. ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამ და კანდიდატის სტატუსის მიღებამ ეს ურთიერთობა უფრო მჭიდრო გახადა (ENP EU/Georgia Action Plan, 2006).

1990-იან და 2000-იანი წლების დასაწყისში ევროკავშირს არ გააჩნდა პროაქტიური, გრძელვადიანი სტრატეგია პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის. ორმხრივი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებებს (PCAs) სომხეთთან, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან, ხელი მოეწერა 1996 წელს და იგი ძალაში შევიდა 1999 წელს. (ENP EU/Georgia Action Plan, 2006) , ეს ხელშეკრულება ბუნებით ძალიან ჰგავდა და იდენტური იყო მიგრაციაზე აქცენტით - აქცენტი გაკეთდა არალეგალურ იმიგრაციაზე. ევროკავშირის ეს ცალმხრივი დღის წესრიგი შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ ერთი, 1990-იან წლებში ევროკავშირის მთავარი გამოწვევა იყო არალეგალური

მიგრანტების იმიგრაციის შეჩერება, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე ევროპისა და სხვა დასავლური ქვეყნებისკენ მიემართებოდნენ. მეორე, ევროკავშირის კომპეტენციები შემოიფარგლებოდა მიგრაციის საკითხების ინიცირებით ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან. ევროპის საბჭოს 1999 წლის ტამპერეს შეხვედრამდე, ევროკავშირმა ჩამოაყალიბა დღის წესრიგი მიგრაციის ყოვლისმომცველი მიდგომისა და პოტსაბჭოთა ქვეყნებთან პარტნიორული ჩართულობის შესახებ (ევროპის პარლამენტი, 1999, პუნქტი 11).

საქართველოში, საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის პოლიტიკის ვაკუუმის გათვალისწინებით, ევროკავშირის გავლენა მიგრაციის პოლიტიკის ჩარჩოებზე უფრო დიდი იყო, ვიდრე სომხეთში ან აზერბაიჯანში. 2000-იანი წლების დასაწყისიდან და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დაწყების შემდეგ, საქართველო ცდილობდა დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის აღიარებას და ცდილობდა გეოპოლიტიკური ბარიერის აგებას რუსეთის წინააღმდეგ (Ademmer and Börzel, 2013). თუმცა, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ადრეულ ეტაპებზე, საქართველოს მთავრობის პოზიცია, შეენარჩუნებინა გამარტივებული მიგრაციის პოლიტიკა და არ მიეღო რაიმე კონკრეტული პოლიტიკის ჩარჩო, ეწინააღმდეგებოდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის დებულებებს (ENP EU/Georgia Action Plan, 2006) და საქართველოს რეალური შესაბამისობა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიგრაციასთან დაკავშირებულ დღის წესრიგთან მინიმალური იყო (Chavleishvili, 2018) თუმცა, 2008 წლის შემდეგ, როდესაც საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მოქალაქეებმა დაიწყეს რუსული პასპორტების გამოყენება ევროკავშირის სავიზო რეჟიმის გამარტივების შეთანხმებით, ევროკავშირის ბერკეტები გაიზარდა საქართველოში და ევროკავშირმა შეძლო რეადმისიის შეთანხმებების წინ წამოწევა, როგორც ვიზის წინაპირობაა (Ademmer and Börzel, 2013). მას შემდეგ საქართველო დიდი ენთუზიაზმით იყო განწყობილი ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და სავიზო რეჟიმის გამარტივების პერსპექტივების მიმართ (ბარბე და იოჰანსონ-ნოგუესი, 2008). ევროკავშირის მიერ სავიზო რეჟიმის გამარტივება და არსებული შეთანხმებები, 2009 წლიდან არის მთავარი მამოძრავებელი ძალა საქართველოში მიგრაციის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. საქართველოს ძალისხმევა საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის პოლიტიკის ევროპულ ქვეყნებთან ჰარმონიზაციის კუთხით, დაფუძნებულია სამეცნიერო კვლევებითა და შედარებითი ანალიზით. ისეთი მკვლევარები, როგორებიც არიან ჩაჩანიძე და კარანაძე (2017) ხაზს უსვამენ საქართველოს საკანონმდებლო ბაზისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის ევროკავშირის დირექტივებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის

მნიშვნელობას თანამშრომლობის გაღრმავებისა და მიგრაციული ნაკადების გასაადვილებლად. ,,სტრატეგიულად, საქართველომ უნდა გააგრძელოს თავისი პოლიტიკის დახვეწა უმაღლესი განათლების გლობალურ ტენდენციებთან შესაბამისობაში. ეს გულისხმობს სავიზო რეგულაციების განახლებას, სტიპენდიის შესაძლებლობების გაზრდას და საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობის გაძლიერებას. ამით ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ, რომ საქართველო დარჩეს მიმზიდველ მიმართულებად იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ეძებენ მაღალხარისხიან განათლებას და კულტურული გამოცდილების გამდიდრებას." სიღრმისეული ინრევიუ ლ.ა 01.05.2024)

ევროკავშირის მიერ ამ მიმართულბით მრავალი სპეციალიზებული აკადემიური კვლევა, სემინარები და კონფერენციები დაფინანსდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა, მაგალითად, 2014 წელს SCMI-მ გამოაქვეყნა საერთაშორისო ლექსიკონის პირველი ქართულად ადაპტირებული ვერსია, მიგრაცია (IOM) ტერმინები მიგრაციის შესახებ. ამ ლექსიკონმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ყველა ჩართული ეროვნული ინსტიტუტის მუშაობის საერთო ტერმინოლოგიური საფუძვლის ჩამოყალიბებასა და მიგრაციის მენეჯმენტში. იმავე წელს SCMI-მ გააფორმა , ასევე შექმნა სამდივნო და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD, 2013). მაგალითად, ევროპის მიგრაციის ქსელი (EMN) ემსახურებოდა როგორც პლატფორმა ცოდნის გაცვლას, მონაცემთა გაზიარებასა და პოლიტიკის დიალოგს საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე (ევროპის მიგრაციის ქსელი, 2020).

2014 წელს საქართველომ უდიდეს წარმატებას მიაღწია ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით, რაც გადამწყვეტი მომენტი იყო ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე. შეთანხმების რატიფიცირების შემდეგ, საქართველომ მიიღო ამბიციური დღის წესრიგი, რომელიც მოიცავდა რეფორმებს, ეკონომიკის განვითარებას და საგარეო უსაფრთხოების ახალ პოლიტიკას. ეს შეთანხმება ნათლად განსაზღვრავს ლეგალური საიმიგრაციო პოლიტიკის გაუმჯობესების აუცილებლობას. ხელშეკრულების მიხედვით მხარეები ვალდებულებას იღებენ მიგრაციული პროცესების ერთობლივი მართვის შესახებ. (საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება, მუხლი 15). საქართველო ევროკავშირის წინაშე იღებს ვალდებულებას საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის პოლიტიკის და მიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს არ ავალდებულებდა გაემკაცრებინა მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა, პირიქით ქვეყანა

ვალდებულებას იღებდა უცხოელთა ინტეგრაციის პროცესზე(ევროპის საგარეო სამოქმედო სამსახური, 2014). საქართველოს დაევალა მიეღო ზომები მიგრანტებისა და ლტოლვილების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყო მათი ხელმისაწვდომობა განათლებაზე, დასაქმებაზე, ჯანდაცვაზე და სოციალურ სერვისებზე ევროკავშირის სოლიდარობისა და ინკლუზიურობის პრინციპების შესაბამისად (ევროპის საგარეო სამოქმედო სამსახური, 2014). თუმცა კანონში, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, 2015 წელს განხორციელდა ცვლილებები. ფაქტობრივად ეს იყო პირველი ნაბიჯები საქართველოს საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის დაახლოებისა ევროკავშირის სტანდარტებთან. „ჩვენმა ქვეყანამ აიღო გარკვეული ვალდებულებები ასოცირების ხელშეკრულების მიღების შემდეგ, რომელთა მიხედვითაც განახორციელა ცვლილებები, ახლა კი კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ საქართველომ უნდა განახორციელოს მიგრაციის შესახებ არსებული კანონებისა და რეგულაციების ყოვლისმომცველი მიმოხილვა, რათა გამოავლინოს ის სფეროები, რომელშიც საჭიროა ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაშია. ეს შეიძლება მოიცავდეს კანონმდებლობაში ცვლილებებს ან ახალი კანონების ამოქმედებას ევროკავშირის დირექტივებთან და რეგულაციების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. იურიდიულ ექსპერტებსა და პოლიტიკის შემქმნელებს შეგვიძლია ვითანამშრომლოთ კანონმდებლობის პროექტზე, რომელიც ასახავს ევროპულ საუკეთესო პრაქტიკას საქართველოს სპეციფიკური გარემოებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით“(სიღმისეული ინტერვიუ, 25.03.2024).

ლისაბონის აღიარების კონვენციისა და ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოს ანალიზის საფუძველზე, რეკომენდირებულია, რომ საქართველომ ჩამოაყალიბოს გამჭვირვალე და სტანდარტიზებული პროცესები უცხოური კვალიფიკაციის აღიარებისთვის. ეს პროცესი ხელს შეუწყობს სახელმწიფო პოლიტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰასრმონიზაციას(ევროპის კომისია, 2018;). აკრედიტაციის სტანდარტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოებიდან მიღებული შეხედულებები, როგორიცაა ENQA და EQAR, ხაზს უსვამს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერების მნიშვნელობას ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (ENQA, 2020). ასევე მნიშვნრელოვანია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებიდან მიღებული რეკომენდაციები, როგორიცაა OECD და მსოფლიო ბანკი, მხარს უჭერენ საერთაშორისო სტუდენტებისთვის ყოვლისმომცველი მხარდაჭერის სერვისების შექმნას, მათ შორის საორიენტაციო პროგრამების, ენის მხარდაჭერისა და აკადემიური კონსულტაციის ჩათვლით. მათ მიერ

გამქვეყნებულ ანგარიშებში საუბარია იმაზე ,რომ ამ სერვისების გარეშე საქართველოს საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის პოლიტიკა ვერ განვითარდება (OECD, 2019).

□□□□ IV □□□□□ □□□□□ □□□□□□ □□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□□□□□□□□

ფოკუს ჯგუფი ჩატარდა 2024 წლის 18, 20,21 აპრილს, სამ ეტაპად. პირველ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა 9 უცხოელი სტუდენტი, რომელთაგან 5 იყო მამაკაცი, 4-ქალი. გეოგრაფიული თვალსაზრით, უმრავლესობას წარმოადგენდნენ ინდოელი სტუდენტები. ასევე მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები იორდანიიდან, ნიგერიიდან , საფრანგეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან. მეორე ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო 9 უცხოელმა სტუდენტმა, რომელთაგან 5 იყო ქალი 4-მამაკაცი. გეოგრაფიული თვალსაზრისით, ისინი იყვნენ ისეთი ქვეყნის მოქალაქეები როგორიცაა: თურქეთი,ინდოეთი, პალესტინა, ნიგერია ზიმბაბვე, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი. რაც შეხეება მესამე ფოკუს ჯგუფს, მოაწილეობა მიიღო 9 რესპოდენტმა, რომელთაგან 5 იყო ქალი 4-მამაკაცი, უმრავლესობა გახლდათ ინდოეთიდან. სადისკუსიო გეგმა მოიცავდა ისეთ საკითხებს როგორიცაა: ვიზის მოპოვება და ამ პროცესის დროს თუ გადააწყდნენ რაიმე სახის დაბრკოლებებს, სახელმწიფო დონეზე როგორ ხდებოდა მათი ინფორმირებულობა ამ საკითხებზე. ასევე რა გამოწვევების წინაშე დგას, მათი აზრით, საერთაშორისო სასავლო მიგრაციის პოლიტიკა. ასევე იმ პრობლემებზე საუბარს, რომელიც საჭიროებს გადაჭრას და იმ პოზიტიური მოვლენების მიმოხილვას, რომელიც საჭიროებს გაძლიერებას.

ფოკუსჯგუფის მსვლელობის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია და გამოწვევა:

1. მიგრაციის სამსახურის მხრიდან უცხოელ სტუდენტებს დროულად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ყველას საჭირო პროცედურასთან დაკავშირებით.

სტუდენტთა აზრით, მიგრაციის სამსახური მათ დროულად არ აწვდის ინფორმაციას საჭირო დოკუმენტებისა და პროცედურების გავლის შესახებ. სამსახურის ონლაინ ვებგვერდებზე კი ინფორმაციის მოძიება ვერ ხერხდება, რაც იწვევს განცდას რომ მათი ბედით არავინაა დაინტერესებული.

ფოკუს ჯგუფისას წარმოჩნდა შემთხვევები, როდესაც სტუდენტები გადააწყდნენ გამოწვევებს საიმიგრაციო კანონში ცვლილებების გამო. მათ არანაირი ინფორმაცია არ მიეწოდათ ამ ცვლილებების შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში სტუდენტებს უჭირდათ იუსტიციის სახლში საჭირო

საბუთების დადგენილ ვადებში წარდგენა, რის გამოც ბინადრობის ნებართვის მიღება შეფერხდა. სწორედ ამიტომ უწევთ მათ იპოვონ საქართველოში მცხოვრები ადამიანი, რომელიც ერკვევა ამ ბიუროკრატიულ პროცესებში და გარკვეული თანხის სანაცვლოდ უცხოელ სტუდენტებს უწევს დახმარებას , რაც კიდევ უფრო დიდ მატერიალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, მონაწილეებმა გაიხსენეს ინციდენტები, როდესაც მოსწავლეებს საზღვრის გადაკვეთის უფლებას აძლევდნენ, მაგრამ მათ თანმხლებ პირებს (მაგ. მშობლებს) ქვეყანაში შესვლა აეკრძალათ. ასეთი გამოცდილება ხაზს უსვამს იმიგრაციის სისტემაში არსებულ სირთულეებსა და შეუსაბამობებს, რაც მოითხოვს საერთაშორისო სტუდენტებისა და მათი ოჯახებისთვის სამართლებრივი პროცედურებისა და პოტენციური დაბრკოლებების დეტალურ გაგებას.

სტუდენტთა შეფასებით, მიგრაციის სამსახური ვიზის ან ბინადრობის მოწმობის პროცესს ხშირად ხელოვნურად ახანგრძლივებს. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ წარდგენილი ყველა საბუთი წესრიგშია, გამჭვირვალე პროცესებმა შეიძლება მეტი სტუდენტი მოიზიდოს. „მიგრაციის სამსახურთან დაკავშირება თითქმის შეუძლებელია, ჩემი მეგობარი მათ ცხელ ხაზზე და მეილზე ყოველდღე სწერდა, რომ ზუსტად მოეძიებინა ინფორმაცია საჭირო დოკუმენტაციის შესახებ, თუმცა უშედეგოდ, მათ ვებგვერდზე კი ამ დოკუმენტაციის სია არასრულია რაც უამრავ პრობლემას იწვევს“ (ნაწყვეტი ინტერვიუდან). „ ბოლო წლებში ვიზის მოპოვების პროცედურა ძალიან გართულდა, მითუმეტეს ნიგერიელებისათვის. ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, სტუდენტური ვიზის მიღებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ ვიზის განახლება დამჭირდა. ყველა დოკუმენტი წარვადგინე დეტალური ინფორმაცია მივაწოდე შესაბამის უწყებებს, ცნობა სტატუსის შესახებ ჩემი უნივერსიტეტიდან თუმცა, ვიზის მიღებას თვეების განმავლობაში ველოდე. ჩემს მეგობარს კი, რომელიც ასევე ერთ-ერთ ქართულ უნივერსიტეტში სწავლობდა და ვიზას ანახლებდა სტუდენტური ვიზა აღარ მისცეს , რაც წარმოუდგენელი მოვლენაა და დღემდე ვერ ვხდებით რატომ მოხდა ეს, განმარტებაც მხოლოდ ორ სიტყვიანი მიიღო“

2. უცხოელი სტუდენტებისათვის არ არის გამოყოფილი სტიპენდიები და დაფინანსებები, განათლების სამინისტროს ფაქტობრივად ყველა პასუხისმგებლობა მოხსნილი აქვს.

ფოკუს ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს, რომ მიუხედავად მათი ძალისხმევისა, ინფორმაცია მოეძიებინათ მათთვის გამოყოფილი დაფინასებისა და სტიპენდიის შესახებ, ვერაფერი მოიძიეს. უცხოელი სტუდენტები სინანულით აცხადებენ, რომ მიუხედავად მათი მაღალი აკადემიური მოსწრებისა, მათთვის არანაირი აკადემიური ხასიათის ხელშეწყობა არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან, რაც მათ შემდგომ მოტივაციაზე, გააგრძელონ სწავლა საქართველოში, აისახება.

ფოკუს ჯგუფის წევრები აცხადებენ რომ ევროპულ ქვეყნებში ხშირია სამუშაო სასწავლო პროგრამების განხორციელების პრაქტიკა, რომლიც, მათი აზრით, საშუალებას მისცემს რომ მიიღონ შემოსავალი ნახევარ განაკვეთზე დასაქმებით ამის უზრუნველყოფა კი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრითაა შესაძლებელი. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათთვის განათლების სამინისტროს არანაირი ინფორმაცია არ მიუწოდებია. ამ უწყებისგან მხოლოდ მათი ჩარიცხვის ბრძანების შესახებ მიიღეს ინფორმაცია, მას შემდეგ კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არანაირი შეხვედრა ამ ადამიანებთან არც საინფორმაციო და არც ინტეგრაციული ხასიათის არ გაუმართავს. „2018 წელს ჩავირიცხე საქართველოში, არასდროს არანაირი შეხვედრის შესახებ არ მქონია ინფორმაცია არც მე და არც ჩემს მეგობრებს. სტიპენიებზე ინფორმაციის მოძებნას ჩარიცხვის წუთიდან ვცდილობ, თუმცა უშედეგოდ. ზოგადად ვთვლი, რომ ყველა სამინისტრო და მათ შორის განბათლების, საერთოდ არ არის დაინტერესებული ჩვენი ინტეგრაციის პროცესით“ (ნაწყვეტი ფოკუს ჯგუფიდან). „ასეა მე საქართველოში რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ გადმოვედი , განათლების სამინისტროსგან ჩვენ არანაირი ინფორმაცია არ მიგვიღია. მიუხედავად უამრავი მცდელობისა, კრედიტულ სისტემაშიც არ გაგვარკვიეს. შემდეგ იძულებული გავხდით გვეპოვა სანდო პირი, რომელიც ამ პროცესებში იყო გარკვეული და ყველაფერი მისი დახმარებით მოვაგვარეთ“ (ნაწყვეტი ფოკუს ჯგუფიდან).

3. გადახედვას საჭიროებს 2021-2030 წლების მიგრაციის სახელმწიფო სტრატეგია.

ფოკუს ჯგუფის წევრები აცხადებდნენ, რომ მათთვის, როგორც უცხოელი სტუდენტებისათვის, მნიშვნელოვანია, როგორც საკანომდებლო ხასიათის ცვლილებები, ასევე ინტეგრაციის საკითხები. მიუთემეტეს რომ ბიზნეს ინსაიდერის მიერ 2023 წლის მაისში გამოთხოვილი მონაცემებით საქაართველოში 25069 სტუდენტი ირიცხება. ეს ადამიანები საქართველოში მცხოვრები ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მასშტაბური ჯგუფია, თუმცა ფოკუს ჯგუფის წევრმა უცხოელმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი ინტეგრირების პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს.

ფოკუს ჯგუფის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ ისეთ მნიშვნელოვან უწყებებში როგორიცაა შსს, იუსტიციის სახლი და ა.შ, ხშირად არ იციან ინგლისური, რაც მათთვის მთავარი ბარიერია. ასევე ხშირია სწორედ ამ დაწესებულებებში მათი დისკრიმინაციის შემთხვევებიც.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აზრით, საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაცია სცილდება აკადემიურ წარმატებას. ის გულისხმობს ინკლუზიური გარემოს შექმნას, სადაც სტუდენტები გრძნობენ დაფასებას და მხარდაჭერას. მხარდაჭერის სერვისები, როგორიცაა საორიენტაციო

პროგრამები, კონსულტაცია და ენობრივი დახმარება აუცილებელია შეუფერხებელი ინტეგრაციისთვის.

ფოკუს ჯგუფის წევრები, საერთაშორისო სტუდენტები, საუბრობდნენ უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. მათი აზრით, უსაფრთხო გარემო ხელს უწყობს ხელსაყრელ სასწავლო ატმოსფეროს და მეტად წაახალისებს ჩაერთონ ადგილობრივ საზოგადოების განვითარების პროცესში. მათი აზრით, უსაფრთხოების ინიციატივები ასევე ხელს შეუწყობს ქვეყნის საერთო რეპუტაციას, როგორც სასურველი სასწავლო დანიშნულების ადგილს. ,,ერთხელ გამქურდეს, საფულე და მობილური მომპარეს, როდესაც პოლიციაში მივედი, ინგლისური არავინ იცოდა. ძლივს გავაგებინე მათ თუ რა მინდოდა. მათ კი იმ ადამიანის გამართლება დაიწყეს, შენი ბრალია უყურადღებოდ იყავიო, ზოგადად ხშირია შემთხვევები როცა, რადგან უცხოელები ვართ არ გვისმენენ და აქეთ გვადანაშაულებენ“ (ნაწყვეტი ფოკუს ჯგუფიდან).

„ერთხელ საღამოს მეტროში ქართველმა მამაკაცმა გვკითხა საიდან ხართო, ინდოეთი რომ ვუპასუხეთ, რატომ ჩამოხვედით, წადით საიდანაც მოხვედითო და გინება დაგვიწყო , მაშინვე მეტროში მდგარ პოლიციელს მივმართეთ, მან არც კი მოგვაქცია ყურადღება და იმ კაცს ხელი გადახვია და დაუწყო საუბარი, ასე დაუცველად თავი არასდროს მიგრძვნია.“

4. საქართველოში არ არსებობს უცხოელი სტუდენტების უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი სპეციალიზებული უწყება.

ამ მიმართულებით არც შსს, არც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, არც უნივერსიტეტები და არც საელჩოები არ მუშაობენ. შესაბამისად, ბევრი უცხოელი სტუდენტი ხვდება მსგავსი სახის პრობლემებს და ადეკვატური მხარდაჭერის გარეშე რჩება. რაც აიძულებს მათ მიმართონ იურიდიულ დახმარებას პრობლემების გადასაჭრელად. ეს კი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოში უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერის ფორმალური სტრუქტურის არარსებობას.

ფოკუს ჯგუფის წევრთა აზრით, საქართველოში უცხოელი სტუდენტების ადვოკატირებისა და მხარდაჭერის ნაკლებობის აღმოფხვრა მოითხოვს პოლიტიკის ცვლილებას როგორც ინსტიტუციურ, ისე სამთავრობო დონეზე. უნივერსიტეტებში სპეციალური დამხმარე სერვისების ჩამოყალიბება, სამართლებრივი დახმარების მექანიზმების შექმნა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობის ხელშეწყობა, მათი აზრით, დაეხმარებათ ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების გადაჭრაში.

„მე ნიგერიიდან ვარ, როგორც იცით საქართველოში ნიგერიის საელჩო არ ფუნციონირებს, ფაქტობრივად სრულად ვარ მოშორებული საელჩოს მხრიდან არსებულ რაიმე მხარდაჭერას მისი არსებობის შემთხვევაში. საქართველოშიც არ არსებობს რაიმე სამინისტრო , რომელიც ჩვენზე იზრუნებს, დაიცავს ჩვენს უფლებებს და დაგვეხმარება, სწორედ ამიტომ, ვთვლი და ჩემი რეკომენდაციაა რომ, ამ მიმართულებით სახელმწიფომ უნდა შეცვალოს პოლიტიკა და შეიქმნას დამხმარე სერვისები“ (ნაწყვეტი ფოკუს ჯგუფიდან).

დასკვნა

სასწავლო მიგრაციის ლანდშაფტი გახდა კრიტიკული ინტერესის სფერო ქვეყნებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავენ გააძლიერონ თავიანთი საგანმანათლებლო სისტემები. საქართველომ, ისევე როგორც ბევრმა ქვეყანამ, გააცნობიერა საგანმანათლებლო მიგრაციის მნიშვნელობა და შეიმუშავა პოლიტიკა ამ ფენომენის გასაძლიერებლად ბოლო ათწლეულის განმავლობაში. 2013 წლიდან 2023 წლამდე საქართველომ დაიწყო სახელმწიფო პოლიტიკის რეფორმების სერია, რომელთა უპირველესი მიზანია უცხოელი სტუდენტების ნაკადის გაზრდა, ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხისა და საერთაშორისო აღიარების გაუმჯობესება და საერთაშორისო სტუდენტებისთვის ადმინისტრაციული პროცესების გამარტივება. საქართველომ გაატარა მნიშვნელოვანი რეფორმები საგანმანათლებლო პოლიტიკაში, რომელიც ორიენტირებულია განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაზე. თუმცა საერთაშორისო სტუდენტები დღემდე აწყდებიან ბიუროკრატიულ გამოწვევებს, საქართველო მუშაობს სავიზო და ბინადრობის განაცხადის პროცესის გამარტივებაზე. ეს ძალისხმევა მიმართულია სტუდენტების ადმინისტრაციული ტვირთის შესამცირებლად და საქართველოში სწავლის მაქსიმალურად შეუფერხებლად გასაგრძელებლად. გარდა სავიზო პროცესის გამარტივებისა, საქართველო მიზნად ისახავს მინიმუმამდე დაიყვანოს სხვა ბიუროკრატიული დაბრკოლებები, რომლებმაც შეიძლება შეაფერხოს საერთაშორისო სტუდენტების ნაკადი. ეს მოიცავს მცდელობებს საერთაშორისო სტუდენტებისთვის უფრო მკაფიო ინფორმაციისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, ამჟამად მათ არ აქვთ საჭირო რესურსები საგანმანათლებლო მიგრაციის პროცესის ეფექტური ნავიგაციისთვის. საერთაშორისო სტუდენტებს ასევე არ აქვთ

შესაძლებლობა ეკონომიკურად ინტეგრირდნენ ქართულ საზოგადოებაში, გადამწყვეტია საგანმანათლებლო მიგრაციის პოლიტიკის გრძელვადიანი წარმატებისთვის. ეკონომიკური ინტეგრაცია გულისხმობს სტუდენტებისთვის არასრულ განაკვეთზე სამუშაოს, სტაჟირებისა და დიპლომისშემდგომი დასაქმების შესაძლებლობას. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის შემქნელები შემდგომ მიზნად ისახავენ შექმნან ხელსაყრელი გარემო ასეთი ინტეგრაციისთვის, საერთაშორისო სტუდენტების შესაძლებლობა ეკონომიკურად ინტეგრირდნენ ქართულ საზოგადოებაში, გადამწყვეტია საგანმანათლებლო მიგრაციის პოლიტიკის გრძელვადიანი წარმატებისთვის. საქართველოს პოლიტიკა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი გარემო ასეთი ინტეგრაციისთვის, იმის აღიარებით, რომ ეკონომიკური სტაბილურობა არის ძირითადი ფაქტორი საერთაშორისო ნიჭის მოზიდვისა და შესანარჩუნებლად. სოციალური ინტეგრაცია თანაბრად მნიშვნელოვანია, რადგან ის გავლენას ახდენს სტუდენტთა საერთო გამოცდილებაზე და მათ სურვილზე, დარჩნენ საქართველოში სწავლის დამთავრების შემდგომ. საჭიროა შეიქმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს კულტურულ გაცვლას, ენის ათვისებას და საზოგადოების ჩართულობას, საქართველომ წამოიწყო სხვადასხვა პროგრამები სოციალური ინტეგრაციის გასაძლიერებლად ევროკავშირის დაფინანსებით , საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო აღიარება გადამწყვეტ როლს თამაშობს საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვაში. განათლების ხარისხის გაუმჯობესების, საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებისა და გლობალურ საგანმანათლებლო ქსელებში მონაწილეობა საქართველოს სტრატეგიის არსებითი კომპონენტია. საქართველოს სურს ამ მიმართულებით ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოება და ჰარმონიზაცია, საქართველოც და ევროკავშირიც პრიორიტეტს ანიჭებენ თავიანთი საგანმანათლებლო სისტემების ინტერნაციონალიზაციას. ეს მოიცავს სტუდენტების მობილობის წახალისებას, საერთაშორისო პარტნიორობის ხელშეწყობას და კულტურული გაცვლის ხელშეწყობას. ორივე რეგიონი აღიარებს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გარემოს ღირებულებას და მიზნად ისახავს სტუდენტების მოზიდვას მთელი მსოფლიოდან . მიუხედავად ამ მსგავსებისა, საგანმანათლებლო მიგრაციის მარეგულირებელ ინსტიტუციურ ჩარჩოებში შესამჩნევი განსხვავებებია. ევროკავშირს აქვს საგანმანათლებლო მიგრაციის მართვის კარგად ჩამოყალიბებული და ყოვლისმომცველი სისტემა, რომელსაც მხარს უჭერს ძლიერი მმართველობა.

დასასრულს, საქართველოს საგანმანათლებლო მიგრაციის პოლიტიკა 2013 წლიდან 2023 წლამდე ასახავს სტრატეგიულ ძალისხმევას საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვისა და შესანარჩუნებლად რეფორმების, პროცესების გამარტივებისა და ბიუროკრატიული ბარიერების

შემცირების გზით. თეორიული საკითხების აქტუალობა, როგორიცაა ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია, განათლების ხარისხის საერთაშორისო აღიარებასთან ერთად, ხაზს უსვამს ამ პოლიტიკის ეფექტურობას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო იზიარებს მსგავსებას ევროკავშირთან პოლიტიკის მიზნების თვალსაზრისით, მან უნდა განაგრძოს თავისი ინსტიტუციური ჩარჩოს განვითარება საგანმანათლებლო მიგრაციის ყოვლისმომცველი მართვის უზრუნველსაყოფად. ამ კვლევის მიგნებები იძლევა ღირებულ შეხედულებებს პოლიტიკის შემქმნელებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავენ გააძლიერონ საქართველო, როგორც დანიშნულების ადგილი საერთაშორისო სტუდენტებისთვის და უზრუნველყონ, რომ მისი საგანმანათლებლო მიგრაციის პოლიტიკა შეესაბამება გლობალურ სტანდარტებს და საუკეთესო პრაქტიკას. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო სტუდენტები საქართველოში ყველაზე დიდი სასწავლო მიგრანტთა ჯგუფია, თუმცა სახემწიფო მათ მინიმალურ მხადაჭერას უცხადებს. სტუდენტები გამოხატავენ სინანულს აკადემიური მხარდაჭერის არარსებობის გამო, რაც ამცირებს მათ მოტივაციას, გააგრძელონ სწავლა საქართველოში. ისინი მიუთითებენ ევროპულ ქვეყნებზე, სადაც სამუშაო სასწავლო პროგრამები სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ შემოსავალი ნახევარ განაკვეთზე დასაქმებით, სწორედ ამ მიმართულები არის საჭირო დაახლოვდეს ევროკავშირისა და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა. გარდა ამისა, განათლების სამინისტრომ ვერ უზრუნველყო უცხოელი სტუდენტების მუდმივი საინფორმაციო და ინტეგრაციული მხარდაჭერა. ჩარიცხვის დღიდან, სტუდენტებმა მიიღეს მხოლოდ ინფორმაცია მათი მიღების შესახებ და არანაირი დამატებითი საჭირო ინფორმაცია. სწორედ ამიტომ საჭირო და აუცილებელია 2021-2030 წლების მიგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის გადახედვა. უნდა გაიწეროს კონკრეტული პოლიტიკა მიგრანტ სტუდენტთათვის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად, სადაც სტუდენტები შეძლებედბენ განვითარდნენ, არსებითი სერვისები, როგორიცაა საორიენტაციო პროგრამები, კონსულტაცია და ენობრივი დახმარება, გადამწყვეტია შეუფერხებელი ინტეგრაციისთვის. უსაფრთხოება ასევე მნიშვნელოვანი საზრუნავია, უსაფრთხო გარემო აუცილებელია ხელსაყრელი სასწავლო ატმოსფეროსთვის და ხელს უწყობს საერთაშორისო სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი საზოგადოების განვითარებაში. უსაფრთხოების გაძლიერებული ინიციატივები ასევე გაუმჯობესებს საქართველოს რეპუტაციას, როგორც სასურველი სასწავლო დანიშნულების ადგილს.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს მიგრაციის სტრატეგია 2016-2020 წწ. მოძიებულია:

https://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0

საქართველოს 2021-2030 წწ მიგრაციის სტრატეგია მოძიებულია: *https://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0*

საქართველოს მიგრაციის პროფილი. მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისია. თბილისი,2015. მოძიებულია:

http://migration.commission.ge/files/migration_profile_of_georgia_2015

Bromhead, P. (1976). Politics and Education.

https://www.jstor.org.lez.tsu.edu.ge:2443/stable/pdf/1050331.pdf?refreqid=excelsior%3A124a32de38fed98f2da2eef2b247bc5f&ab_segments=0%2FSYC-6744_basic_search%2Ftest-1&origin=

Angelis n, (2021) , Global Education and Migration in a Changing European Union

https://www.developmenteducationreview.com/issue/issue-32/global-education-and-migration-changing-european-union

Barrientos . (2007) Analysis of International Migration and its Impacts on Developing Countries , მოძიებულია: *https://www.econstor.eu/bitstream/10419/189547/1/inesad-wp2007-12.pdf*

Chavleishvili,Lobzhanidze.(2018) The Socio-Economic Consequences of Educational Migration for Georgia *https://www.researchgate.net/publication/330728143_The_Socio-Economic_Consequences_of_Educational_Migration_for_Georgia*

Cerna (2021) Politics of internationalisation and the migration-higher education nexus , მოძიებულია: *https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/14767724.2022.2073975*

European Education Area , 2023 , მოძიებულია:

https://education.ec.europa.eu/focus-topics/improving-quality/inclusive-education/migrants-and-refugees

European Union (2018) Special Eurobarometer Results of special Eurobarometer on integration of immigrants in the European Union, მოძიებულია: *https://home-affairs.ec.europa.eu/whats-new/news_en*

European Parliament (2014) 'Values and Objectives' მოძიებულია:

https://europarlamentti.info/en/values-and-objectives/values/

Laswell, H. D. (1956). The Political Science of Science. American Political Science Review, L (December, 1956), 961-79.

Europe , Strasbourg Cedex June 2008, მოძიებულია:

https://www.coe.int/t/dg4/intercultural/source/white%20paper_final_revised_en.pdf

Georgia-EU Relations and Future Perspectives, 2017 მოძიებულია:

https://www.google.com/search?ie=UTF-8&client=ms-android-samsung-rev2&source=android-br-Perspectives-1.pdf

GLOBAL MIGRATION AND EDUCATIONAL EXPANSION:SCENARIOS AND PROJECTIONS OF POPULATION-LEVEL INTERACTIONS , 2019

https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000266086

Immigrant Integration Policy and Practice in Georgia Achievements, Challenges and the Way Forward , 2021 მოძიებულია:

https://georgia.iom.int/sites/g/files/tmzbdl1311/files/documents/Integration%2520Study%2520ENG.pdf

Kahanec,Kralikova (2011) Higher Education Policy and Migration: The Role of International Student mobility , მოძიებულია:

https://www.researchgate.net/publication/227383716_Higher_Education_Policy_and_Migration_The_Role_of_International_Student_Mobility

Krippendorff, (2004) Content Analysis: An Introduction to Its Methodology, CA: Thousand Oaks. მოძიებულია:

https://books.google.ge/books/about/Content_Analysis.html?id=q657o3M3C8cC&redir_esc=y

International students: A growing group of migrants in the OECD , 2022

https://www.oecd-ilibrary.org/sites/ec0742a4-en/index.html?itemId=/content/component/ec0742a4-en

Williams , (2012) Indian Student Mobility in the UK: Opportunities and Challenges , , მოძიებულია:

https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/24839/CARIM-India_RR2012-17.pdf?sequence=1&isAllowed=y

Kharaishvili,Natsvlishvili , Impact of International Educational Migration in the Context of Globalization of Higher Education (Case of Georgia), 2019 , მოძიებულია:

https://www.researchgate.net/publication/334673177_IMPACT_OF_INTERNATIONAL_EDUCATIONAL_MIGRATION_IN_THE_CONTEXT_OF_GLOBALIZATION_OF_HIGHER_EDUCATION_CASE_OF_GEORGIA

Ritterband , (1970) Law, Policy, and Behavior: Educational Exchange Policy and Student Migration

https://www.jstor.org/stable/2775438?read-now=1&seq=7#page_scan_tab_contents

Gribble, (2008) Policy options for managing international student migration: The sending country's perspective. Journal of Higher Education Policy and Management, მოძიებულია:

https://www.researchgate.net/publication/240532163_Policy_options_for_managing_international_student_migration_The_sending_country's_perspective_Journal_of_Higher_Education_Policy_and_Management_301_25-39

Popul (1996) Migrating to learn and learning to migrate: a study of the experiences and intentions of international student migrants

https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/12347611/

learnin Migration and asylum in EU , 2023 , მოძიებულია:

https://learning-corner.learning.europa.eu/learning-materials/migration-and-asylum_en

OZEL . (2022) , MEASURING INTERNATIONAL MIGRATION IN GEORGIA , მოძიებულია:

https://unstats.un.org/unsd/demographic-social/Standards-and-Methods/files/technical-report/national-reporting/MeasuringIntMig_GE_14Jun2022_Final.pdf

Manna , (2012) State Policy: Dynamic Challenges, Diverse Approaches, and New Frontiers

https://www.jstor.org/stable/41725462

Tabatadze, S., Dundua, S., & Chkuaseli, K. (2023). Liberal-democratic Values and Secondary School: The Case of Georgia. *Journal of Eurasian Studies*, *14*(1), 67-81.

Tabatadze, S., & Dundua, S. (2022). Social Science Knowledge Commercialization: The Case Study of Social Sciences at Tbilisi State University. *Studia Politicae Universitatis Silesiensis*, *34*, 3-26.

Teitelbaum (2002) The Role of the State in International Migration, მოძიებულია: *https://www.jstor.org/stable/24590252*

The State of Migration in Georgia Report developed in the framework of the EU-funded

Enhancing Georgia's Migration Management (ENIGMMA) project , მოძიებულია:

https://www.pragueprocess.eu/en/resources/repository/33-reports/169-the-state-of-migration-in-georgia-report-developed-in-the-framework-of-the-eu-funded-enhancing-georgia-s-migration-management-enigmma-project

Snodin , Young (2021) The Migration of International Academics to Thailand and their Experiences of Thai Higher Education

https://www.jstor.org/stable/27035256

Adamyk , (2023) International student migration: current trends and challenges for developing countries

https://www.researchgate.net/publication/370274760_International_student_migration_current_trends_and_challenges_for_developing_countries

New migration challenges for the EU in the 2020s , 2021

https://wiiw.ac.at/new-migration-challenges-for-the-eu-in-the-2020s-n-509.html

Weber, (2023) The student migration transition: an empirical investigation into the nexus between development and international student migration

https://comparativemigrationstudies.springeropen.com/articles/10.1186/s40878-023-00329-0

de Haas, Czaika , (2019)International Migration: Trends, Determinants, and Policy Effects

https://www.jstor.org/stable/45285994?read-now=1&seq=8#page_scan_tab_contents

Jenny McGil (2013) . International Student Migration: Outcomes and Implications , მოძიებულია: *https://files.eric.ed.gov/fulltext/EJ1056459.pdf*

Jasmin Baier, Johannes Haushofer, Hannah Lea Shaw (2022) Large-scale International Educational Migration: A Shallow Investigation მოძიებულია: *https://forum.effectivealtruism.org/posts/TMjRuTLjQa6z6rdeY/large-scale-international-educational-migration-a-shallow*

Villalba , (2015) Migration and Integration from an International Perspective

https://www.dvv-international.de/en/adult-education-and-development/editions/aed-702008/migration-and-integration/adult-

education-migration-and-integration-from-an-international-perspective-challenges-and-opportunities

Haddal ,(2009)Policy Challenges in International Migration ,

https://core.ac.uk/download/pdf/5126179.pdf